17 მაისი ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღეა!

პატრიარქმა 17 მაისი ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების პატივისცემის დღედ გამოაცხადა. ასეთი დღესასწაული მიმდინარე წლის 17 მაისს აღინიშნება, — ამის შესახებ მრევლს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას აცნობა.

ილია მეორე სამღვდელოებას აძლევს ლოცვა-კურთხევას, 17 მაისს, 12:00 საათზე ტაძრებში ჩაატარონ პარაკლისი, ნაკურთხი წყლით აკურთხონ ტაძრები, სახლები, ოჯახები და ქუჩები. ოჯახებში ნაკურთხი წყლის პკურების კურთხევას პატრიარქი საერო პირებსაც აძლევს.

საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 16 მაისი, 2015 წელი.

№89 (7734)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვეტი სიფცვაა, ფცეტილებით და ჭოტებით ბეტონის გაფანა ყვეოა ეკადრისობაზე უსაძაგლესია.

დედალი კაცები და მამალი ქალები

„ჩვეულებრივ, არსებობენ ჰომოსექსუალი და ჰეტეროსექსუალი ადამიანები. კიდევ ერთხელ ვწუხვარ, რომ ამაზე საერთოდ პოლიტიკოსების გამოკითხვა გიწევთ. ეს ადამიანების არჩევანი, მათი ცხოვრებაა. მათ პირად ცხოვრებაში ჩარევა და შეურაცხმყოფელი განცხადებები, მოკლედ ვიტყვი, ძალიან სამწუხაროა“.

თინათინ ბოკუჩავა პარლამენტის წევრი უმცირესობიდან...

* * *

გეთანხმები, სხვის საქმეში ჩარევა და ცხვირის ჩაყოფა უტაქტობაა და ამისთვის შეიძლება გაილახოს კიდეც „ცხვირის ჩამყოფი“... მაგრამ, გოგონი, მე, ალბათ, შენი ბაბუის ხნის ვიქნები და გაცილებით მეტი ვიცი ამ ცხოვრების ასავალ-დასავალი (იმ ცნობილ გაზეთზე არ ვლაპარაკობ)!

შენობით იმიტომ მოგმართავ, რომ ჩემი შვილიშვილის ხნის იქნები. იცი, შენ საერთოდ, რა არის ჰომოსექსუალიზმი და რა შედეგები მოაქვს?

არ იცი, ბაბუ! აშკარად გეტყობა, რომ არ იცი და აქეთ გვასწავლი!

ჰოო, არ არის ავადმყოფობა! ჯერ კიდევ როდის თქვა ეგ ცხონებულმა ფროიდმა: „ჰომოსექსუალურობა ავადმყოფობა არ არის, ეს სექსუალური ორიენტაციის არჩევანი და ნებაყოფლობითი სურვილია“.

თინა, იცი შენ, რომ ჰომოსექსუალები ცდილობენ უმცირესობიდან უმრავლესობაში მოხვდნენ (როგორც ამას „ნაციონალები“ შვრებიან დიდი მონდომებით)? ცდილობენ და საკმაოდ „მუხლჩაუხრელდაც“. ისინი ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას ეწევიან მთელი მსოფლიოს მასშტაბით!

გეი-აღლუმები ჰომოსექსუალიზმის რეკლამაა, აბა რა არის?!

რატომ მიტარებ გეი-აღლუმს ჩემი სათაყვანებელი შოთა რუსთაველის პროსპექტზე?

შენ არა, ცისფერებს და ვარდისფერებს ვეკითხები!

მე ხომ არ გამოვდივარ ქალაქის ცენტრში, ჩემი კაცური ორიენტაციის საჩვენებლად და პროპაგანდისთვის დედიშობილა?!

ქართველები სულ სხვა ტრადიციის და „ორიენტაციის“ ხალხი ვართ და ვერასდროს შევიცვლით „სექსუალურ მიმართულებას“...

თუმცა, ჩვენშიც არიან გეები და ლესბოსელები, ქართველებში, ჰო!

ისე, რა მოსაწონია მაღალქუსლებზე შემდგარი პომადიანი კაცი ან „ვაჟკაცი“?

ან, ქალი, კაცს რომ ჰგავს, ისეთი ლამაზია, ვითომ? ალბათ, მოძალებულმა ჰომოსექსუალიზმმა გააჩინა ცნება „კაცური კაცი“ —კაცობის დეფიციტი იგრძნობა და იმიტომ!

„ვაჟკაცი“ ქალიც რა სათქმელია? ეგ ტენდენციაც აშკარად იგრძნობა — „დავაჟკაცდნენ“ ქალები! ფემინიზმი სხვა არაფერია, თუ არა ლტოლვა კაცურობისკენ! გადაშენდება ადამიანის მოდგმა! არა და, ხომ იცი რა ცოტანი დავრჩით?

საზოგადოდ არა! ქართველებზე ვამბობ! ჩინელებს თურმე სამი მილიონი გეი და ლესბოსელი ჰყავს, ჩვენ, მგონი, საერთოდ ვართ მაგდენი!

ჩინელებს რა ენაღვლება, ორი მილიარდია!

ისე, რატომ ამახვილებთ ყურადღებას ამ თემაზე?

იმ ამერიკასა და ევროპაში იმდენი კარგი და გადასარევია, ვერ აგიწერ! ვიცი, მე რასაც ვამბობ! მსოფლიო მოვიარე, ყველა კონტინენტზე ვარ ნამყოფი და სხვათა შორის ძალით არავის უცდია ჩემი „გაცისფერება“!

თუმცა, ნიუ-იორკში გეი-აღლუმს რომ შევესწარი და ვნახე, როგორ გამომწვევად იქცეოდნენ გეები და ლესბოსელები, მივხვდი, რომ ეს ამ „საქმის“ დიდი რეკლამა და პროპაგანდა იყო!

ეგეც რომ არა, ხომ ხარ ქრისტიანი? და თუ ხარ, ისიც უნდა იცოდე, რომ მამათა და დედათმავლობა ერთ-ერთი დიდი ცოდვაა ქრისტიანული მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით!

ჰოდა, რა ვუყოთ ახლა ამ საქმეს? არა, გეებს და ლესბოსელებს ცხვირ-პირი არ უნდა დავუმტვრიოთ, რა საკადრისია! მაგრამ, თუ გაბედავენ და გამოვლენ, ჩვენ ეროვნული ცეკვები და სიმღერები დავახვედროთ, ქართულად, ჩვენებურად, რაინდულად! ასე ვფიქრობ მე და, ალბათ, ასე ფიქრობს ყველა ნამდვილი კაცი და ქალი საქართველოში!

ახლა ამაზე გამეცი პასუხი: გაათხოვებ შენ ვაჟს ვაჟზე? გაათხოვებ, გეკითხები? ვიცი, არ გესიამოვნა!

მამაძაღლური, შემოგდებული პროვოკაციაა სექსუალური უმცირესობის დაცვის თემა საქართველოში!

ასე რომ, ახალგაზრდა ხარ, მთლად ბავშვი და ნუ გაგაბრიყვებენ შენ პარტიაში ბუდემოწყობილი „კაცური კაცები“ და „მამალი ქალები“.

თამაზ ჭეიშვილი,
ფსიქოლოგი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.



პაულო კოელიო

მაქთუბი

6

ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს გურამ გოგიაშვილის მიერ სხვადასხვა დროს გადმოენებულ ერთგვარად რელიგიურ-მისტიკური სულისკვეთებით გაჯერებულ კოელიოს „ალქიმიკოსს“, „მეხუთე მთას“, „მოგვის დღიურს“, „ბრიდას“, ამჯერად მსოფლიოში ამ სახელსმიანი ბრაზილიელი მწერლის (წერს პორტუგალიურად) კიდევ ერთ ფრიად თავშესაქცევ წიგნს გთავაზობთ.

ვინ და რატომ უჭერს მხარს ბუბა კუდავას? 2

ვინ შეეწირება ლარის ხანძარს? 9

ვახტანგ მაისაია: ევრაზიული ძალების რაოდენობის გაზრდა ნაცმოძრაობის ფსევდოდასავლურმა რიტორიკამაც გამოიწვია 3

◎ ალიან-ჩალიანი

პრემიერი დიდ მსახიობს დაბადების დღეს ულოცავს



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მსახიობ გივი ბერიკაშვილს დაბადების დღეს ულოცავს. „ბატონი გივი ერთ-ერთი უპირველესია იმ მცირერიცხოვან მსახიობთა შორის, რომელმაც გამოჩენისთანავე მოიპოვა მაყურებლის აღიარება და გულწრფელი სიყვარული. სწორედ მისი გმირების კეთილი და უშუალო სახეების გამო მიიღო და შეიყვარა იგი ხალხმა. გივი ბერიკაშვილის ნიჭისა და მაღალი პროფესიონალიზმის დასტურია ისიც, რომ იგი დღესაც აქტიურად მოღვაწეობს და მისგან კვლავაც ელოდებიან ახალ როლებს. ვუსურვებ ჩვენს სახელოვან მსახიობს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას და წარმატებებს“, — აღნიშნულია მილოცვაში.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრატისლავაში შეხვედრები გამართა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი ბრატისლავაში „ვიშეგრადის ოთხეულის“ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაში მონაწილეობს.

შეხვედრაში ასევე მონაწილეობენ ლატვიის, რუმინეთის, შვედეთის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრები, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ფედერიკა მოგერინი და ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების მოლაპარაკებათა საკითხებში ევროკომისარი იოჰანეს ჰანი.

„ვიშეგრადის“ მინისტერიალზე განხილული იქნება „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგის სამიტის მოსამზადებელი საკითხები, უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში არსებული კონფლიქტების გათვალისწინებით და ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხები.

„ვიშეგრადის მინისტერიალი“, რომელიც წინ უსწრებს 2015 წელს ქ. რიგაში დაგეგმილ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტს, მხარეებს აძლევს სამიტისთვის უფრო ეფექტიანად მომზადების შესაძლებლობას, დასახული მიზნების მიღწევის გზებსა და არსებულ გამოწვევებზე მსჯელობის საშუალებას.

შინაგან საქმეთა სამინისტრო გაიყო

შინაგან საქმეთა მინისტრის ვახტანგ გომელაურის განცხადებით, მთავრობის სხდომაზე შს სამინისტროს გაყოფის შესახებ კანონპროექტს მხარი დაუჭირეს.

როგორც ვახტანგ გომელაურმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ცნობილია, რომ შს სამინისტროს გაყოფის პროცედურები დაწყებულია და ეს იყო სამთავრობო გუნდის დაპირება.

„წარდგენილი იყო შს სამინისტროს მიერ კანონპროექტი, რომელიც მთავრობამ განიხილა და მიიღო. ეს ითვალისწინებს ახალი სამსახურის, სახელმწიფო უსაფრთხოების შექმნას, რომელშიც შევლენ სპეცსამსახურები, როგორიც არის კონტრდაზვერვა, ანტიტერორისტული ცენტრი, ანტიკორუფციული სამსახური“, — განაცხადა გომელაურმა.

რაც შეეხება ამ სამსახურის ხელმძღვანელის დანიშვნის წესს, როგორც გომელაურმა განაცხადა, მას პრემიერი წარუდგენს მთავრობას, მთავრობის თანხმობის შემთხვევაში პარლამენტი განიხილავს და უმრავლესობით დაამტკიცებს. უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი აირჩევა 6 წლის ვადით და როგორც გომელაურმა აღნიშნა, ერთი და იგივე პირის ორი ვადით არჩევა არ იქნება შესაძლებელი.

„ეს ადამიანი იქნება აპოლიტიკური და ანგარიშვალდებული იქნება, როგორც მთავრობის ასევე პარლამენტის წინაშე“, — განაცხადა გომელაურმა.

◎ სანამ კომისია გადაწყვეტდეს...

ვინ და რატომ უჭერს მხარს ბუბა კუდავას?

დღეს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორს სპეციალური კომისიის წევრები გამოავლენენ, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებით დაკომპლექტდა; მათ შორის არის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელი, პროფესორი ზაზა ალექსიძეც. სამინისტრო ირწმუნება, რომ პროცესი გამჭვირვალედ და სამართლიანად ჩატარდება.

როგორც ცნობილია, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ძველ დირექტორს ბუბა კუდავას მეცნიერთა და ინტელიგენციის დიდი ნაწილი უჭერს მხარს. განსაკუთრებით ამ მიმართულებით აქტიურობს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჰუმანიტარული ნაწილი, რომელმაც არაერთი წერილით მიმართა სამინისტროს ბუბა კუდავას მხარდასაჭერად.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის ხმაურიანი გათავისუფლების შემდეგ, სამინისტრო იძულებული გახდა დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება ბუბა კუდავასთვისაც მიეცა. იმედია, კომისია ღირსეულ კანდიდატს გამოავლენს და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს. თუმცა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის 9-წლიანი მოღვაწეობა ამ ცენტრის მიერ მიღწეულ წარმატებებთან პირდაპირ კავშირშია: ეს იქნება ქართული ეროვნული საგანძურის ცალკეული რელიკვიების მეცნიერული შესწავლა, აღწერილობა, გამოცემა, პოპულარიზაცია, ხელნაწერების გაცნობის მიზნით საზოგადოებისთვის უნიკალურ ხელნაწერთა გაცნობის ექსპონირება და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელის წარმატებები და ქართულ კულტურაში შეტანილი ღვაწლი, ბუნებრივია, ის ერთ-ერთი ღირსებაა, რის გამოც ასე აქტიურად ჩაება მთელი მეცნიერული სპექტრი ბუბა კუდავას მხარდასაჭერ აქციაში. სარეკომენდაციო წერილში, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებამ განათლების სამინისტროს გაუგზავნა, აღნიშნულია: **„ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა, რომელსაც 2006 წლიდან პროფესორი ბუბა კუდავა ხელმძღვანელობს, მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. მისი ინიციატივითა და თაოსნობით მუშაობაში მრავალი სიახლე დაინერგა. გარდა იმ ტრადიციული სამუშაოებისა, რომლებიც მიმდინარეობდა ცენტრში (ძველი ქართული ძეგლების კვლევა და პუბლიკაცია, ისტორიული საბუთების შესწავლა, კატალოგების შედგენა) დაინერგა მრავალი ახალი მიმართულება, რამაც ცენტრის მუშაობა თანამედროვეობას მჭიდროდ დაუკავშირა (ქართველ მოღვაწეთა პირადი არქივების შესწავლა, მათი მასალების პუბლიკაცია). ამის შედეგად გამოვლინდა XIX და XX სს. ისტორიის ბევრი დღემდე უცნობი ფაქტი.**

ცენტრში იმ ხნის განმავლობაში მოვიდა ბევრი ახალგაზრდა თანამშრომელი, რამაც საიმედო საფუძველი მოგვცა მომავალი კვლევებისათვის.

ცენტრმა მოიზიდა სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობა. ჩატარებულ კალიგრაფიულ კონკურსებში თანდათანობით სულ უფრო მეტი მოსწავლე მონაწილეობს.

დამყარდა მჭიდრო კონტაქტები საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებთან. სტაჟირებისათვის ცენტრში მუშაობენ მაგისტრანტები და დოქტორანტები — ფილოლოგები, ისტორიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები, რესტავრატორები.

რამდენიმე წელიწადია, რაც ცენტრში ტარდება საზაფხულო სკოლა, რომელმაც მოიზიდა მსმენელები მრავალი ქვეყნიდან (ამერიკა, გერმანია, თურქეთი, იტალია და მრ. სხვ). აღსანიშნავია, რომ ამ სკოლაში ლექციებს ისმენდნენ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები.

ცენტრმა მრავალი გამოფენა მოაწყო როგორც თბილისში (მიუხედავად სათანადო პირობების უქონლობისა), ასევე — ბათუმში, ქუთაისსა და მარტვილში. ჩატარდა ფოტოგამოფენა კაიროსა და ალექსანდრიაში. ამჟამად დაგეგმილია გამოფენა სამხრეთ აფრიკასა და ბარსელონაში.

მიუხედავად მეტად მწირი ბიუჯეტისა, გრანტების მოპოვებამ ცენტრს საშუალება მისცა, ჩაეტარებინა მნიშვნელოვანი სამუშაოები. XIV-XV სს. ძეგლი მოქვის სახარების რესტავრაცია გააკეთა იუნესკოს გრანტით (და საქველმოქმედო კომპანიით შეგროვებული თანხით) გერმანელმა სპეციალისტებმა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების წევრები ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს ბუბა კუდავას ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელად ახალი ვადით არჩევას“.

სამინისტროსადმი გაგზავნილ სხვა რეკომენდაციებს ხელს აწერენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **როინ მეტრეველი,** ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები: **გუჩა კვარაცხელია, რისმაგ გორდეზიანი, მზექალა შანიძე, ელიზბარ ჯაველიძე, ავთანდილ არაბული, ელგუჯა ხინთიბიძე, ვაჟა შენგელია, ნანა ხაზარაძე, დავით მუსხელიშვილი, ჯონი ხეცურიანი, გურამ თევზაძე,** წევრ-კორესპონდენტები: **ლია მელიქიშვილი, გურამ ლორთქიფანიძე, დავით ჩარკვიანი, ირაკლი იმედაძე...**

ბუბა კუდავას მხარდამჭერთა სია გრძელია. თუმცა, საბოლოო სიტყვა კომისიის წევრებს ეკუთვნით, რომელთა გადაწყვეტილებითაც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორს ახალი ვადით აირჩევენ.

ნია ფიფია

◎ ინფორმაცია

პროკურატურის რეფორმის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი დამტკიცებულია

საქართველოს მთავრობამ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი დაამტკიცა, რომელიც პროკურატურის რეფორმას ითვალისწინებს.

ცვლილებები მთავრობის სხდომაზე იუსტიციის მინისტრმა წარადგინა.

„პროკურატურის შესახებ“ კანონის გარდა, ცვლილებები შედის „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა“ და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ„ საქართველოს კანონში.

იუსტიციის სამინისტროში მომზადებული ცვლილებათა პაკეტი ახლებურად განსაზღვრავს პროკურატურის ადგილს სახელისუფლებო სისტემაში. „საქართველოს კონსტიტუციის“ თანახმად, პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს სისტემაშია და მას იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობს. პროკურატურის ამ როლის გადახედვა საჭიროებს საკონსტიტუციო ცვლილებას, რაც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება. ამდენად, იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა ვარიანტი, რომელიც არ მოითხოვს საკონსტიტუციო ცვლილებებს და პროკურატურის რეფორმირებას წელსვე ითვალისწინებს ეფექტიანად და სწრაფად. ამ მოდელის თანახმად, პროკურატურის საერთო ხელმძღვანელობას იუსტიციის მინისტრი საპროკურორო საბჭოს მეშვეობით განახორციელებს, მთავარი პროკურორის დანიშვნის უფლებამოსილება კი გადანაწილდება საპროკურორო საბჭოზე, მთავრობასა და პარლამენტზე.

სამინისტროს ცნობით, საპროკურორო საბჭოს შემადგენლობაში შევლენ: იუსტიციის მინისტრი; საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარე; პარლამენტის 2 წევრი, რომლებსაც პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით აირჩევს; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან პარლამენტის მიერ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით არჩეული 2 წევრი, რომლებიც იმავდროულად არ ეწევიან საადვოკატო საქმიანობას; და პროკურორთა კონფერენციის მიერ არჩეული 4 წევრი. საბჭოს ექნება უფლება, დაამტკიცოს საქართველოს მთავარი პროკურორის კანდიდატურა, წარადგინოს მთავრობისათვის მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლების წინადადება, განახორციელოს მთავარი პროკურორისა და მისი მოადგილეების წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოება. საპროკურორო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში საპროკურორო საბჭო არ ჩაერევა.

ლაგოდეხი სტიქიამ სერიოზულად დააზარალა

ლაგოდეხის სოფლებში — ლელიანში, ონანაურში, ჭაბუკიანში, აფენსა და საქობოში ძლიერმა წვიმამ ათეულობით საცხოვრებელი სახლის პირველი სართულები და სარდაფები დატბორა.

წყალმა შინაური ფრინველი და ცხოველები დაახრჩო. მოსახლეობა სანიაღვრე არხების გაუწმენდაობაზე ჩივის.

ლაგოდეხის რაიონში დატბორილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და ვენახები. განადგურდა ბოსტნეული, საზამთროსა და სხვა კულტურების ერთწლიანი ნარგავები.

ადგილობრივ ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ სტიქიის ზონებში წყლის ამოტუმბვისა და გაწმენდითი სამუშაოების ჩასატარებლად სპეციალური ტექნიკა მუშაობს.

„ევრაზიული ძალების რაოდენობის გაზრდა ნაცმოძრაობის ფსევდოდასავლურმა რიტორიკამაც გამოიწვია“

NDI-ს ახალი კვლევის თანახმად, უპრეცედენტო ფაქტი დაფიქსირდა. მართლია, ქართველი ამომრჩეველი არჩევნებზე მიდის, მაგრამ ის კი არ იცის, ხმა ვის მისცეს. გამოკითხულთა უმეტესობის აზრით, მათ შეხედულებებთან ახლოს არც ერთი პარტია არ არის. როგორც ჩანს, მოსახლეობას, მეტ-ნაკლებად, არავის იმედი არა აქვს. ამ კვლევასთან დაკავშირებით უმრავლესობამ თავის დამშვიდების ტაქტიკა არჩია – ნოდარ ხადური აცხადებს, რომ მას კარგად ახსოვს, 2012 წლის სექტემბერში როგორი შედეგი დადო NDI-მ და პირველი ოქტომბერს რა შედეგი დაფიქსირდა, ხოლო ნუკრი ქანთარია აცხადებს, რომ საბოლოო კვლევა არჩევნებია და იგი სწორედ არჩევნებს ენდობა.

ექსპერტი, ყოფილი პოლიტპატიმარი ვახტანგ მაისაია For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ NDI-ს კვლევების სანდოობაზე საუბარი ზედმეტია და საქართველოს მოსახლეობისთვის უცნობია ერთი ფაქტი.

– ამ დღეებში ვაპირებდი ამ ფაქტის გამოქვეყნებას, მაგრამ თქვენ დამასწარით. ამერიკაში არსებობს ორი ტიპის არასახელმწიფოებივი სტრუქტურა – ანალიტიკური ცენტრები და ლობისტური ორგანიზაციები, რომლებიც ასრულებენ გარკვეული ტიპის დავალებას. ეს მიღებული მომენტია და არავინ არ უნდა შეაცდინოს ქართული საზოგადოება, თუ რას წარმოადგენს NDI და IRI. ესენი არ არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, ამერიკის კანონმდებლობის მიხედვით, ისინი არიან ლობისტური ორგანიზაციები. ეს არ იციან საქართველოში და ერევათ ხოლმე. ამერიკის კანონმდებლობის მიხედვით, ესენი აბსოლუტურად ლეგიტიმური სტრუქტურები არიან, ჩვენი კანონმდებლობისგან განსხვავებით.

– მაგრამ გამოკითხულთა უმეტესობის აზრით, მათ შეხედულებებთან არც ერთი პარტია ახლოს არ დგას. საქართველოში არსებული გაურკვეველი ვითარება ამ კვლევის სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა?

– ბუნებრივია, ასეთი სიტუაცია საქართველოში არსებობს. მეც ვუერთდები საზოგადოების ამ ნიჰილისტურ აზრს, პოლიტპატიმრების არც ერთი საქმე არ იქნა ბოლომდე მიყვანილი, არ მოხდა მათი რეაბილიტაცია. ამდენად, „ქართული ოცნების“ მიმართ როგორ შეიძლება მქონდეს სენტიმენტები? რასაკვირველია, ვიზიარებ იმ აზრს, რომ საზოგადოებაში აპათიაა, ადამიანებმა არ იციან, ხმა ვის მისცენ და დამაჯერებელია, რომ გამოკითხულთა უმეტესობა პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის საქმიანობას საშუალოდ აფასებს. ეს არ არის ახალი და ეს კვლევა რომ ჩაეტარებინა ჭეშმარიტად მართალ არასამთავრობო ინსტიტუტს, ისიც ამ დასკვნას დადებდა. როგორ შეიძლება დადო პოზიტივი, როცა ლარის მაქსიმალური რყევა არსებობს, ეკონომიკაში არის საკმაოდ ცუდი სიტუაცია, პოლიტიკური კურსითაც რთული ვითარებაა. მე მიკვირს პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ გამოხატული დაბალი შეფასება, რადგან პარლამენტის თავმჯდომარე მაინც ასრულებს თავის მოვალეობას. პარლამენტი არის საკმაოდ საინტერესო ბერკეტი, მთავრობაზე ძლიერი ინსტიტუტი.

– სულ ახლახანს აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ევრაზიული კავშირის მომხრეთა რაოდენობის 31 %-მდე გაზრდამ. ამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ნაწილი განსხვავებულ პოზიციას გამოთქვამს, ბევრს ეჭვი ეპარება ევრაზიული კავშირის მომხრეთა რიცხვის ზრდაში, თუმცა, არიან ექსპერტები, რომლებიც ამბობენ, რომ არსებობს სამი მიზეზი, რის გამოც ევრაზიული კავშირის მომხრეთა რაოდენობა გაიზარდა და ეს რიცხვი რიგის სამიტის შემდეგ უფრო იმატებს. მათი თქმით, კრემლის იდეოლოგია მუშაობს და საქართველოს მთავრობა ამას ვერაფერს უპირისპირებს, საქართველოს მთავრობისგან იმედგაცრუებულია ხალხი და ევროპას ისედაც არ ვუნდივართ. თქვენი აზრით, რეალურია ციფრები, რაც NDI-მ დადო ევრაზიულ კავშირთან მიმართებით?

– სამწუხაროდ, შეიძლება, ეს ციფრები მართლაც რეალურია, მძიმე ეკონომიკურ ვითარებას მოჰყვება ნოსტალგია. საქართველოში ეს ნოსტალგია რას უნდა შევადაროთ, თუ არა – საბჭოთა ნოსტალგიას, როცა იყო საქართველოში სტაბილური ეკონომიკური პირობები. ამდენად, ზოგიერთებს გაუჩნდათ ნოსტალგიური სინდრომი.

– რომელიც ძველ თაობას უფრო აქვს, ვიდრე ახალგაზრდობას?

– ახალგაზრდობაშიც არის ეს სინდრომი, მათაც ახსოვთ წარსულის წლები, ზოგი კომუნისტი იყო, ზოგი – ოქტომბრელი ან პიონერი. მეორეც, კრემლმაც გააძლიერა ზემოქმედება, ცხადია, ესეც მოქმედებს.

– პროგნოზირებთ, რომ რიგის სამიტის შემდეგ, ნაკლებ ოპტიმისტურ შედეგებს პრორუსული ძალები სათავისოდ გამოიყენებენ და ევრაზიული კავშირის მომხრეთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება საქართველოში? ბოლოს და ბოლოს, რუსეთს შეუძლია შემოგვთავაზოს ვაჭრობა, თავდაუსხმელობის გარანტია, შეიძლება, ასევე, ტერიტორიების დაბრუნებაზეც იყოს საუბარი.

– სხვათა შორის, ეს იდეა თავის დროზე გაახმიანა მარკოვმა, რომ საქართველოს შეუძლია, ევრაზიულ კავშირში გარანტიები მიიღოს. მარკოვი არის კრემლთან დაახლოებული პოლიტიკოსი და პოლიტტექნოლოგი. ამაზე არავის არ უთქვამს უარი. გარდა ამისა, მოქმედებს ნოსტალგიური სინდრომი, საქართველოს ელექტორატის უმეტესობა იმ ასაკის ადამიანები არიან. მესამე მომენტიცაა, ამას თვითონ იძლევა დასავლეთის მიდგომა, როცა ამბობენ, რომ ამდენი ხნის მანძილზე საქართველოს ნატოში არ შეესვლება, ევროკავშირის ვიზა-ლიბერალიზაციის საკითხიც პრობლემურია. საზოგადოების დიდი ნაწილი ამას ვერ მოითმენს.

– ანუ, რიგის სამიტის შემდეგ 31%-ზე მეტს მოუნდება ევრაზიულ კავშირში გაწევრება?

– რა თქმა უნდა, ეს სამწუხარო რეალობაა. ძირითადი ეს სამი ფაქტორია და დასავლეთი გვიკეთებს ერთგვარ იგნორს. თქვენ წარმოიდგინეთ, 50 წლის განმავლობაში რთულ მდგომარეობაში იყო თურქეთი, ბოლოს მოვიდა ერდოღანის ფრთა, რომელიც რბილ ისლამისტურ პროექტს წარმოადგენს და მან აიღო სულ სხვა პოლიტიკური ორიენტაცია. არის რაღაც ზღვარი და, თუ შენ ხანგრძლივად გეუბნებიან უარს, შენში ინსტიქტურ დონეზე მოქმედებს თავმოყვარეობის ელემენტი. ამიტომ დასავლეთიც იძლევა ამის იმპულსებს.

ამას წინათ მოლდოვაში ვიყავი და მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვაში ძლიერად ჩანს მოსკოვური გავლენა, მას შემდეგ, რაც მოლდოვაში გავრცელდა ვიზა-ლიბერალიზაციის პოლიტიკა, ამან დასავლური სეგმენტი ისე გააძლიერა, რომ პროდასავლურმა პოლიტიკურმა ძალებმა გაიმარჯვეს პრორუსულ ძალებზე, რომლებიც ისევ ხელისუფლებაში მოსვლას აპირებდნენ. ანუ, ეს მოტივაციური ფაქტორი იყო და, როცა ვიზა-ლიბერალიზაციის მომენტსაც ახშობ, ბუნებრივია, 31% კი არა, პროცენტული მაჩვენებელი რომ 50%-მდე არ ავიდა, არ არის გასაკვირი?

ჩემმა სტუდენტებმა გორის რაიონსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ჩაატარეს საინტერესო სოციოლოგიური გამოკვლევა, თუ რამდენი უჭერდა მხარს ნატოში გაწევრების პროცესს? გამოიკვეთა შედეგი – 50/50 %-ზე.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ თვითონ ევროპის იდეაა საქართველოს მოსახლეობისთვის გაუგებარი და დროში უსაზღვროდ გაწელილი? მიუხედვად იმისა, რომ გვაქვს ნატოს ცენტრი, ევროკავშირისკენ სწრაფვის ორგანიზაციები, მაინც ადამიანებს ახსოვთ საბჭოთა დროის ელემენტარული სიკეთეები – დენი, გაზი, საკვები, ევროპისგან კი კონკრეტულად რა სიკეთე მიიღეს, ვერ იხსენებენ. ამას ემატება არასწორად გაგებული ევროპა – 17 მაისი, ლგბტ საზოგადოების გააქტიურება, მართლმსაჯულების დაბრკოლება...

– მინდა შეგახსენოთ ევროსასამართლოს გადაწყვეტილება, რომ ჯარიმის სახით 33 ათასი ევრო დააკისრა საქართველოს მთავრობას „იდენტობისა“ და 14 განმცხადებლის სასარგებლოდ. მესმის, რომ ხალხს ახსოვს საბჭოური კარგი ცხოვრება, მაგრამ ვფიქრობ, ევროპის იდეა გაუგებარი არ არის და საქართველოში კარგად აქვთ შემორჩენილი ისტორიული მეხსიერება – საბჭოთა ტოტალური ოკუპაციის სახით. საქართველოს მოსახლეობა მაშინ არ დაუჭერდა მხარს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა არ ექნებოდა გაცხოველებული. ადამიანებს უნდათ საკმაოდ სტაბილური კეთილდღეობის ტიპის საზოგადოებაში ევროპის წევრად გახდომა, სადაც მომგებიანობა და სარგებლობა უფრო მაღალი იქნება, ვიდრე საბჭოთა სისტემაში არსებობა. ეს მიმართულება არსებობს.

– რამდენად დამაჯერებელია კრემლის კულუარული საგარაუდო დაპირებები, რომ ევროპას მაინც არ უნდიხართ და მიიღებთ იმ სიკეთეებს, რაც გქონდათ საბჭოთა კავშირის დროს...

– ევრაზიული კავშირი არ არის საბჭოთა კავშირის აღდგენის მომენტი.

– მაგრამ ამის საფუძველი ხომ გახდება?

– საფუძველი არის, რადგან აქ სამი სახელმწიფოა გაერთიანებული – ბელარუსი, ყაზახეთი და რუსეთი, რომლებიც მეტ-ნაკლებად თავის დროზეც, 1922 წელს იყვნენ საბჭოთა კავშირის დამფუძნებელები. საბჭოთა კავშირი დააფუძნა ოთხმა ობიექტმა – საბჭოთა რუსეთმა, ბელარუსმა, უკრაინამ და ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ (საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა). ეს პოლიტიკური ასოციაციის ელემენტებს ქმნის, რომ შეიქმნას ერთიანი საბჭოთა სისტემა. ევროკავშირიც იღებს პასაჟებს საბჭოთა სოციალისტური, კომუნისტური საზოგადოებისგან. ევროკავშირის სისტემა კოპირებულია საბჭოური და პოსტსოციალისტური ბანაკიდან. ვარშავის პაქტი იყო მახინჯი გამოვლენა, მაგრამ ცივი ომის პერიოდში სოციალურ ბანაკში ეფექტურად მუშაობდა ურთიერთდახმარების ეკონომიკური საბჭო და აჭარბებდა მაშინდელი ევროკავშირის ეკონომიკურ პარამეტრებსაც კი. განსხვავება ისაა, რომ ევროკავშირი გათვლებს აკეთებს ეკონომიკურ პარამეტრებზე და გეოპოლიტიკა არის ზედნაშენი ევროკავშირის მოდელის, ხოლო ევრაზიულ კავშირში პირიქითაა. იქ ჯერ გეოპოლიტიკური იდენტობაა და მერე ამის საფუძველზე ხდება ეკონომიკური ზედნაშენის აშენება.

– თუკი საქართველოში პრორუსულ და პროევროპულ ძალებს შორის ასეთი მკვეთრი გადანაწილებაა, რაც NDI-ს დასკვნაში ფიგურირებს, და, თუკი რიგის სამიტის შემდეგ ევრაზიის მომხრეთა რიცხვის გაზრდაა მოსალოდნელი, მაშინ რამდენად მაღალია დაპირისპირების პერსპექტივა ამ ორ ძალას შორის?

– არა მგონია, ამან სამოქალაქო ომი გამოიწვიოს, თუ ეს საგარეო ფაქტორებით არ იქნება ნაკარნახევი. განსაკუთრებით, კრემლმა შეიძლება დაძაბოს ურთიერთობები. ჩვენ ვზივართ ნაღმზე და რომელი ნაღმი როდის იფეთქებს, არავინ იცის. რისკი არის და პოლიტიკა მყიფე სფეროა. საქართველოში შიდა პოლიტიკურმა გაუგებრობამ შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო ომი, ჩვენ ამ მხრივ ტემპერამენტული და კოლორიტული ხალხი ვართ, როგორც ეს გამსახურდიასა და მის მოწინააღმდეგეებს შორის მოხდა. ამიტომ არ გამოვრიცხავ, ამანაც დაძაბოს სიტუაცია. თუმცა, უნდა მოხდეს პროდასავლური ფასეულობის მომხრე ძალების გაერთიანება, ნაცმოძრაობის გარდა, რადგან ამ საქმეში ნაცმოძრაობის ჩართვა კიდევ უფრო გაზრდის ევრაზიული კავშირის მომხრეთა რიცხვს და ეს იქნება ხარისთვის წითელი ნაჭრის აფრიალება.

მანანა ნოზაძე

◎ კაკალ გულში

წესიერებიანი ოჯახები

● ახლა აქ ვნახე კონფერენციის ფოტო, რომელზეც შეხმატკბილებულად ლაღობენ გიგი წერეთელი, პეტრე ცისკარიშვილი და ნოდარ ხადური და მივხვდი რატომაც ჰქვია ამ ფორუმს იბიარდი.

მე თუ მკითხავ, უარესიც უნდა ერქვას!

● 17 მილიონს რომ ვახარჯავთ, იმ იბიარდის ჩაკრაბარტი გვაქებს („...და ჩვენ კი რა გვენაღვლება, ვახშადაც აქ დავრჩებითო“);

● ენდიაი გვასულელებს;

ლარი გაგვირბის, – მელარე ქადაგიძეს აჯილდოებენ;

● სახედარი კორძაია ბუდეს უბრუნდება, ასეთივე წიკლაურს სააკაშვილი ჩამოჰყავს...

ქვეყანა კი არა, მუშტაიდის „სიცილის ოთახია“.

● NDI-ს ე.წ. გამოკითხვა სწორი ანალიზისათვის დიდ ინფორმაციას გვაძლევს, ეს ციფრები, რა თქმა უნდა, არ ასახავს ხალხის აზრს, სამაგიეროდ ასახავს შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის და სხვა სტრუქტურების სურვილს ძალთა გადანაწილებისა საქართველოში.

ნიშანდობლივია რომ ამ კვლევაში მოცემული ციფრები ნათლად წარმოაჩენს იმ გარემოებას, რომ ვაშინგტონი თავის ფავორიტად ისევ ნაციონალებს თვლის და რევანშისტულ გეგმებს არ ეშვება.

● ახლა უკვე ქართულ ოცნებაში მყოფი მიშისტურ-რესპუბლიკური ძალებით და მათი ნაცებთან, ალასანიასთან და ნათელაშვილთან გაერთიანებით მზადდება რევანში,შესაბამისად ჩვენც უნდა მოვემზადოთ.

● ქართული ოცნება უკვე რესპუბლიკური პარტიის და მასში პორტირებული მიშისტების ხელით კონტროლდება, პარადოქსია, მაგრამ უმცირესობა მართავს მორჩილ უმრავლესობას და ამ ძალის სწორ გზაზე გადასვლა რთულად წარმომიდგენია, მასში არსებული მცირე ინტელექტუალური რესურსით.

ალტერნატიული გზაა ანტიმიშისტური კოალიციის შექმნა ნაწილობრივ არსებული არამიშისტური სპექტრიდან და ახალი ძალებისგან, რომლებიც ამ შემთხვევაში აუცილებლად გამოჩნდებიან, ასეთის ერთობის შექმნის მცდელობა იყო თავის დროზე ჩემს და ჩემი მეგობრების მიერ „დაიცავი საქართველოს“ და „სახალხო კრების“ შექმნა ნაცების სატელიტი რვიანის ალტერნატივად, სამწუხაროდ, შემდგომ ეს პროცესი ვერ ვმართეთ სათანადოთ, ვერც ჩვენ და ვერც იმ პატივსაცემმა და ავტორიტეტულმა ხალხმა ვინც ჩვენ მოვიწვიეთ, ელემენტარული გამოუცდელობის, უფუულობის და საბოტაჟის გამო, თუმცა, იდეა ჩემი აზრით, არ იყო ცუდი.

● თურაშაულის პატრონი, ტყეში ეძებდა რომან გოცირიძესო...

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ მივხედოთ მთას!

საერთო-სახალხო ქველმოქმედებაზე უარს არავინ იტყვის!

საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს

მთავრდება საქართველოს მთის კანონის პროექტის შემუშავება-შედგენა. იქნებ პარლამენტში განხილვამდე გაეცნოთ მას და შეეცადოთ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების (ხელფასების, პენსიების გაზრდა, გადასახადების შემცირება და სხვა) გაუმჯობესებასთან ერთად. არ გამოგვრჩეს მაღალმთიან სოფლებში მუდმივ საცხოვრებლად დამბრუნებლებისთვის ყველაზე აუცილებელი რამის — საცხოვრებელი სახლის აშენებისა და მათთვის უფასოდ გადაცემის ვალდებულების შეტანა. მათვე, სახლთან ერთად, უფასოდ უნდა გადაეცეთ 2 ფური და 5 დედაცხვარი.

ამ ჯგუფში უნდა შევიდნენ:

ადამიანები, რომლებიც (ასაკის მიუხედავად) ბარის სოფლებიდან ცოლ-შვილით მუდმივ საცხოვრებლად ბრუნდებიან მაღალმთიან სოფლებში.

ახალგაზრდა წყვილები (ქალ-ვაჟი), რომელთაც გადაწყვიტეს შექმნან ოჯახი და დარჩნენ მშობლიურ, მაღალმთიან სოფლებში საცხოვრებლად.

მაღალმთიან სოფლებში ცხოვრობენ მრავალშვილიანი ოჯახებიც, რომელთაც 3-დან 10-მდე შვილი ჰყავთ (მაგალითად, დუშეთის რ-ის სოფელ შუაფხოში ცხოვრობს ზაზა ჯაბანიშვილისა და ირმა ცქიფაშვილის ოჯახი, რომელსაც დღეს ჰყავს 9 (ცხრა) შვილი). სამწუხაროდ, საცხოვრებელი სახლებისა და პირუტყვის შესაბამის მოსახლეობაზე უფასოდ გადაცემის საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე უარს ამბობს მთის კანონის პროექტის შემმუშავებელი დღეს მოქმედი კომისია. იგი ამას ქვეყანაში ფულადი სახსრების უქონლობით, სიმცირით ხსნის....

ჩვენ ამ საპროექტო კომისიის ასეთი გადაწყვეტილება არ მიგვაჩნია სწორად, ობიექტურად.

ამიტომაც მოგმართავთ თქვენ მისი განხილვისა და დადებითად გადაჭრისათვის. ჯერ ერთი: საქართველოს ეკონომიკას ისე არ უჭირს, რომ მთის კანონის განხორციელებისთვის ვერ გამონახოს და ვერ გამოყოს სულ ცოტა 25-30 მილიონი ლარი 10-12 მაღალმთიანი რეგიონის სოფლებში გარკვეული რაოდენობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და სათანადო პირუტყვის შეძენა-გადაცემისათვის. ამასთანავე, საპროექტო კომისიას ისიც ვთხოვეთ, რომ კანონში სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა მონაწილე ვალდებული გაეხადათ — ყოველწლიურად მთის კანონის სასარგებლოდ გამოეყო საერთო თანხის მხოლოდ 1 პროცენტი. ეს საკმაოდ სოლიდური დახმარება იქნებოდა. ჩვენ არ გვგონია, რომ ბიუჯეტის რომელიმე მონაწილემ, პიროვნება იქნება იგი თუ ორგანიზაცია, უარი თქვას ამ საერთოსახალხო ქველმოქმედებაზე.

დასასრულ მინდა, ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ახლა საქართველოს ეძლევა ბრწყინვალე შესაძლებლობა: ბიუჯეტის სათანადო ზრდის საფუძველზე ჩვენს თვალწინ განხორციელება დაიწყოს მთის კანონმა. იგი ხომ ფაქტობრივად ქვეყნის ტერიტორიის სამ მეოთხედს მოიცავს!

ბატონებო, ჩვენი თხოვნაა, დადებითად გადაწყვიტოთ წარმოდგენილი საკითხი და ამით მხარში ამოუდგეთ საქართველოს, მის მომავალს!

პატივისცემით:

ხვთისავარ არჩემაშვილი,
დავით წოწკოლაური, სოლომონ მახაური,

პროფესორები, ფშავის აღორძინება-განვითარების არასამთავრობო კავშირის აქტივისტები.
თბილისი, 10 მაისი, 2015 წელი

◎ საერთაშორისო ფორუმი

„ჩვენი მომავლის ისტორია...“

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მმართველთა საბჭოს ყოველწლიურმა, რიგით 24-ე შეხვედრამ და საერთაშორისო საქმიანი წრეების ფორუმმა, რომელსაც თბილისი ბოლო დღეებში მასპინძლობდა, 15 მაისს მუშაობა დაასრულა. უაღრესად წარმომადგენლობითი ბიზნეს-ფორუმის მუშაობაში, რომლის დევიზი იყო „ინვესტიცია ცვლილებათა სამსახურში“, ექვს ათეულზე მეტი სახელმწიფოს დელეგაციებმა და 4200 უცხოელმა ბიზნესმენმა მიიღო მონაწილეობა. მის ფარგლებში მრავალი საინტერესო შეხვედრა გაიმართა, რაც შემდგომ მონაწილეთა აზრთა გაზიარებით გაგრძელდა.

მუშაობის პროცესში მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის მოღვაწეობის მომცველ ქვეყნებში ახალ საინვესტიციო შესაძლებლობებს, მიეღოთ ინფორმაცია რეგიონის ცალკეული ქვეყნების, მათი საინვესტიციო პოტენციალის, ასევე იმ დაბრკოლებათა შესახებ, რომლებმაც მომავალში, შესაძლოა, ხელი შეუშალონ საინვესტიციო პროცესის წარმატებით განხორციელებას.

სექცია „საინვესტიციო პერსპექტივის“ ფარგლებში პარლამენტის შენობაში გამართულ ათ სხდომაზე სხვადასხვა ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ცალკეული ასპექტები განიხილეს, მათ შორის: „თურქეთი — გჩპ წარმატებული პროგრამის შემუშავება და დაფინანსება“, „მაკედონიის საქმიანი კლიმატი და საინვესტიციო შესაძლებლობები“, „სერბეთი — ბალკანეთის სამრეწველო პლატფორმა“, „ეგვიპტე — ეს მომავალია“, „ინოვაციების როლი ბალტიის ქვეყნებში“, „უკრაინული ფენიქსი — ახალი რეალობის დაბადება“, „იორდანია — ინვესტიციები „მწვანე“ ინფრასტრუქტურაში“, „ეკონომიკური სტრატეგია და რეფორმების სფეროში ყაზახეთის ამოცანები“, „საინვესტიციო კლიმატი — სამეწარმეო მოღვაწეობის შესაძლებლობები მოლდოვაში“, „სომხეთი — ახალი შესაძლებლობები აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე“, ასევე „მიმღები ქვეყნის საინვესტიციო პერსპექტივა“.

ბუნებრივია, რომ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო „მიმღები ქვეყნის საინვესტიციო პერსპექტივისადმი“ მიძღვნილი სხდომა, რომელზეც შესავალი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** და ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის პრეზიდენტი **სერ სუმა ჩაკრაბარტი**.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით პარლამენტის სხდომათა დარბაზში გამართულ საინვესტიციო მიმოხილვითი სესიის მუშაობაში, ფორუმის დელეგატებთან და ქვეყნის მთავრობის წევრებთან ერთად, მონაწილეობდნენ პარლამენტის თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი,** დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტების თავმჯდომარეები **ზურაბ ტყემალაძე** და **თამაზ მეჭიაური**. სესიაზე მიიღეს საკვანძო გადაწყვეტილებები ბანკის სამომავლო საქმიანობასა და პარტნიორული მიმართულების მხრივ.

აღსანიშნავია, რომ სექცია „მიმღები ქვეყნის საინვესტიციო პერსპექტივა“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოველწლიური შეხვედრებისა და ბიზნეს-ფორუმების განუყოფელი ნაწილია. მისი მუშაობის დასრულების შემდეგ გაიმართა სადისკუსიო ჯგუფის სხდომაც, რომელიც საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივების განხილვას, აგრეთვე ქვეყნის ბაზარზე მოღვაწე საერთაშორისო და სამამულო კომპანიების წარმატებათა ისტორიას მიეძღვნა.

ღონისძიების მონაწილეებმა საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და ქვეყანაში არსებულ შესაძლებლობათა შესახებ სრული წარმოდგენა მიიღეს.

აღსანიშნავია, რომ სადღეისოდ საქართველოში საუკეთესო საინვესტიციო კლიმატია, რასაც „ბიზნესის წარმოების სიიოლით“ პოზიციის მიხედვით მსოფლიო ბანკის რეიტინგში მე-15 ადგილი მოწმობს, ამდენად, საწარმოთა შექმნისა და ექსპლუატაციის მხრივ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავეა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ექსპერტთა აზრით, საქართველოში ლიბერალური და მოსახერხებელი საგადასახადო რეჟიმია, მუშა ძალის კონკურენტული განაკვეთები და ენერგეტიკული ტარიფებია, კორუფციისგან თავისუფალი მთავრობა ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, სტაბილურად ვითარდება ფინანსური სექტორი, დანაშაულის დონე კი ძალიან დაბალია.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად გაფართოვდა ძირითადად ისეთი დარგების განვითარების ხარჯზე, როგორებიცაა გადამმუშავებელი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

სახელმწიფო და ეკონომიკის კერძო სექტორებში კორუფციის მასშტაბების შემცირებაზე ქვეყნის მთავრობის მიერ მიმართული ძალისხმევის შედეგად, საქართველომ „თრანსფერენსი ინტერნეიშნელის“ „კორუფციის აღქმის ინდექსში“ 130 პოზიციიდან 50-ზე გადაინაცვლა.

ყოველივე ამის შედეგად, ბოლო წლებში საქართველომ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში დიდი ოდენობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა შეძლო.

სამეწარმეო საქმიანობის გამართვისა და საგადასახადო ტვირთის მხრივ, საქართველოში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი რეჟიმი მოქმედებს. საკუთარი საქმის გახსნის პროცედურები მარტივი, ეფექტიანი და გამჭვირვალე სისტემაზეა დაფუძნებული, რაც ახალ საწარმოთა შექმნის საუკეთესო სტიმულია.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის შესაყარზე საქართველოს ბუნებრივი ადგილმდებარეობის წყალობით, ასევე მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების შედეგად, ქვეყანა სულ უფრო აქტიურად ინტეგრირდება მსოფლიო ეკონომიკაში. სადღეისოდ საქართველოს ბაზარზე წარმატებით მოქმედებს არაერთი დიდი საერთაშორისო კომპანია, მათ შორის, „ბრიტიშ პეტროლეუმი“, „თიბისი ბანკი“, სხვები, რომელთა ბიზნესი გამუდმებით ვითარდება.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მმართველთა საბჭოს ყოველწლიური თბილისური შეხვედრისა და ბიზნეს-ფორუმის ოფიციალურ გახსნამდე, მის ფარგლებში რამდენიმე თანხმლები ღონისძიება გაიმართა, კერძოდ, „ინფრასტრუქტურის განვითარება — ეკონომიკური ზრდის სტიმულატორი“, „EBRD-ს დონორთა ყოველწლიური შეხვედრა“, „ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“, აგრეთვე მოეწყო მთელი რიგი შეხვედრა საქმიანი კონტრაქტებისა და პროტოკოლური ღონისძიების დადგენის მიზნით, განხორციელდა პროგრამა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის, ცხრა სადისკუსიო ჯგუფის სხდომებზე კი გეოპოლიტიკური გაურკვევლობის პერიოდში საინვესტიციო მოღვაწეობის სფეროში პრობლემები იყო განხილული. მათ შორის აღსანიშნავია, „ცვლილებათა მამოძრავებელი: ბიზნესის პრაქტიკაში გენდერული ასპექტის განვითარება“, „მწვანე“, მაგრამ ეკონომიკურად ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა — რეგიონალური ინიციატივების ხელშეწყობა“, „როგორ გავხდეთ მდგრადი განვითარების ლიდერი“, „კაპიტალის ბაზრებზე ცვლილებათა ზეგავლენა განვითარებად ეკონომიკებზე“, „დანერგვა, ადაპტაცია, წინსწრება: ინოვაციები მომავლის სამსახურში“, „მსოფლიო ენერგეტიკული ლანდშაფტი“, „ინვესტიციები გეოპოლიტიკური გაურკვევლობის ფონზე“, ხოლო დასკვნითი იყო „თბილისი — 2015/კავკასია — 2051. ჩვენი მომავლის ისტორია: ჩვენი შიშები, ჩვენი იმედები, ჩვენი სიცოცხლეები“.

წმინდა ადამიანური თვალსაზრისით აღსანიშნავია ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის ყოფილ თანამშრომელთა შეხვედრა, რომლის დროს ყოფილ კოლეგებს ერთმანეთთან და ბანკის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის, კონტაქტების განახლების შესაძლებლობა მიეცათ.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მმართველთა საბჭოს მომავალი, საიუბილეო 25-ე ყოველწლიური შეხვედრა და ბიზნეს-ფორუმი გაისად, 10-11 მაისს ლონდონში გაიმართება.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ვითომ სასაცილოა?

„სალაღობოები“ აშკარად შორს-გამიზნული პროვოკაციის სურნელით

„სამეგრელოში ჩავედი და საქართველო ვნახე“!

ნამეტანი განაწყენებულია დიდი ილიას ამ საყოველთაოდ ცნობილ გამონათქვამზე ბ-ნი გიგლა ბარამიძე: „მე ვეკითხები ქალაქ თბილისის მერს სოფელ კოკიდან“.

ეს უკბილო ქილიკი ბ-ნმა გიგლამ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ტელევიზიით არაერთგზის გაიმეორა.

როგორც ვხედავთ ბატონ ბარამიძის მიერ ქალაქის მერიც არის გალანძღული და სოფელი კოკიც. ანდა რა ქართულია „ქალაქ თბილისის მერი სოფელ კოკიდან“. ისე გამოდის, თითქოს თბილისს კიდევ რამდენიმე მერი ყავდეს.

ცნობისთვის:

სოფელი კოკი ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია VI საუკუნიდან. კოკსა და თაგილონს შორის მდებარეობდა იტალიელ მისიონერთა ცენტრი წიფურია, სადაც მოღვაწეობდნენ არქანჯელო ლამბერტი, ქრისტეფორე დე კასტელი, ჯუდიჩე მილანელი...

სოფელ კოკში ქართველებმა, აფხაზებმა და რუსებმა სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძის წინამძღოლობით დაამარცხეს ოსმალთა ჯარი, რომელსაც ომერ-ფაშა სარდლობდა. ამ ომის ეპიზოდები აღწერილი აქვს სერგი ჭილაიას, ისტორიულ რომანში „ეკატერინე ჭავჭავაძე“ და მურმან ჯგუბურიას პოემაში „ეკატერინე ჭავჭავაძე. სოფელი კოკი ნალიმა“.

სოფელ კოკში არის ძმათა სასაფლაო, სადაც ერთად განისვენებენ ქართველები, აფხაზები და რუსები. კოკელები მოწიწებით ინახავენ ენგურთან ბრძოლაში დაღუპული მებრძოლების გვარებს: ზვამბაია, სიმონოვი, წერეთელი, შონია, რუბცოვი, იოსელიანი, შერვაშიძე, წულუკიძე და სხვა. აქვე აღმართულია ობელისკი „ნალიმა“, რაც ნაომარ ადგილს ნიშნავს.

სხვათა შორის, ბატონო გიგლა, თქვენს მიერ სასაცილოდ აგდებული სოფლიდან გამოვიდნენ საქვეყნოდ ცნობილი ადამიანები: საქართველოს სსრ-ის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე — ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი, გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე საჯაია, ცნობილი მეცნიერები: იოსებ ჩიქავა, ალექსანდრე ბუაძე, ილია ტაბაღუა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, აკადემიკოსი ლეო ჩიქავა...

ბ-ნო გიგლა, თქვენს პარტიას და მის თავმჯდომარეს ქ-ნ ნინო ბურჯანაძეს სამეგრელოში პატივს მიაგებენ, მაგრამ თქვენმა არაკორექტულმა ნათქვამმა შეიძლება მომავალ არჩევნებში ძალიან ბევრი ამომრჩეველი დაგაკარგვინოთ.

პატივისცემით

ოთარ ჭითანავა,
საზოგადოება „ჭკადუაშელის“ თავმჯდომარე,
ექსპარლამენტარი.
გუგდიდი

P. S. გ. ბარამიძის უგერგილოდ ნათქვამს, მეორე დღესვე მოჰყვა უნიჭო ტელეგადაცემის „გააცინე და მოიგეს“ ავტორების მიერ საქართველოს პრეზიდენტის მეუღლის მაკა ჩიჩუას გვარის ასევე დამცინავი ტონით ხსენება. ეს გვარი იქიდან მოდის, მამალი რომ დედალს ჩინჩლავსო(?!). დღეს რომ ცოცხალი იყოს მაკას ბიძა, მთელ თბილისში განთქმული ვაჟკაცი გურამ ჩიჩუა, ვფიქრობ, მკაცრად მოჰკითხავდა გადაცემის ავტორებს მისი დიდებული გვარის შეურაცხყოფისთვის.

ან: გამოვიდა ამას წინათ ტელევიზიით აღიარებული პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი და უკრაინაში მცხოვრებ ცნობილ ქართველ პოეტსა და დიპლომატს რაულ ჩილაჩავას „ხელი შეაწმინდა“: ჯერ ხომ პოეზია დაუწუნა, მერე მის გვარს მისდგა, ჩილაჩავას გვარი ჩალიჩავადან მოდის, მანაც იჩალიჩა და ისე მიაღწია ბალტიისპირეთში უკრაინის ელჩობასო(?!).

მომძე უკრაინაში ღირსეულად დაფასებული დიპლომატის, მშვენიერი პოეტისა და თავგადაკლული ქართველის ასეთი ყოვლად უსაფუძვლო შეურაცხყოფა ნამდვილად არ ეკადრება, არ შეჰფერის ბატონ ჰამლეტს.

და საერთოდ, ვერიდოთ ასეთ „სალაღობო“ გამოთქმებს, რომლებსაც აშკარად შორს გამიზნული პროვოკაციის სუნი დაჰკრავს.

ო. ჭ.

◎ ინფორმაცია

ჭიკაანის მოსახლეობა სოფლის საძოვრის გასხვისებას აპროტესტებს

ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკაანის მოსახლეობა სოფლის საძოვრის გასხვისებას აპროტესტებს. ჭიკაანის მოსახლეობის ერთი ნაწილი, გუშინ ყვარლის გამგეობასთან შეიკრიბა და საპროტესტო აქცია გამართა.

როგორც აქციის მონაწილეები ამბობენ, საუბარია 17 ჰექტარ მიწის ფართობზე, საიდანაც 0.80 ჰა საკრებულომ როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა უკვე გაასხვისა. ჭიკაანის მოსახლეობა ამბობს, რომ თუ პრივატიზაცია არ შეჩერდა სოფელი საძოვრის გარეშე დარჩება. აქციის მონაწილეები უკვე გასხვისებული ფართობის სოფლის საკუთრებაში დაბრუნებას ითხოვენ.

აქციის მონაწილეებს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში უპასუხეს. საკრებულოს თავმჯდომარის ზურა ჩხეიძის განმარტებით, თუ სოფლის მოსახლეობა გასხვისებული მიწის გამოსყიდვას შეძლებს, მესაკუთრე მზად არის, სოფელს აღნიშნული ფართობი დაუთმოს, ხოლო დარჩენილი 17 ჰექტრის გასხვისება არ იგეგმება.

ინტერპრესი

◎ განსჯა

100 წლის ბერმუხა კვლავ მწყობრშია

გუშინ, 15 მაისს, ნიკოლოზ ფოფხაძეს 100 წელი შეუსრულდა



დაიბადა 1915 წლის 15 მაისს რაჭაში, სოფელ ხონჭიორში, მრავალშვილიან ოჯახში. ერთ დასა და ექვს ძმას შორის ნიკოლოზი უმცროსი იყო. მისი ყველაზე უფროსი ძმა — ერემია თურქეთთან ბრძოლაში დაიღუპა 1918 წელს. გერმანელებთან ბძოლაში დაეცა კიდევ ერთი ძმა — გიორგი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა და შეტყობინება გერმანელების მიერ მისი დახვრეტის შესახებ, მრავალი წლის შემდეგ, ავსტრიიდან მიიღეს.

ნიკოლოზი 7 წლის ასაკიდან საცხოვრებლად სოხუმში გადავიდა, დის ოჯახში. 1937 წელს სოხუმში დაამთავრა №1 ქართული საშუალო სკოლა და იმავე წელს საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს — ქალაქ ქუთაისში დაბანაკებულ ქართულ დივიზიაში.

1938 წლის მაისში ქართული არმია გაუქმდა, რის შემდეგაც ნიკოლოზი მოსკოვის ოლქში, ვოლოგდის სამხედრო ნაწილში გადაიყვანეს. ვოლოგდაში მსახურობამ 1939 წლის დეკემბრამდე გასტანა, დეკემბრის ბოლო რიცხვებში კი, ფინეთში მიავლინეს. ფინეთის ოპერაცია მხოლოდ ერთ წელიწადს გაგრძელდა. რთულ პირობებში უწევდათ ბრძოლა. დივიზია ცხენოსნებით იყო დაკომპლექტებული, რამაც დიდთოვლობის პირობებში გადაადგილებისას, გარკვეული დაბრკოლებები წარმოშვა და ამის გამო, დივიზია ერთხანს ქალაქ მურმანსკში გადაიყვანეს, სადაც 1939 წლის დეკემბრამდე დარჩა. 1940 წლის აპრილში, სავალდებულო სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ, სოხუმში დაბრუნდა, და 1941 წელს დაქორწინდა მარიამ ეგეტაშვილზე. ამ ქორწინებიდან ქალ-ვაჟი შეეძინა.

მშვიდობამ დიდხანს არ გასტანა: საბჭოთა კავშირს გერმანელების არმია შემოესია. ომის დაწყების პირველი დღიდანვე შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებში მსახურობდა. ბრძოლის წინა ხაზზე იყო კრასნოდარის მხარეში, ქალაქ მაიკოპში. მერე 1943-44 წლებში, კავკასიის უღელტეხილზე ბრძოლები იყო. კავკასიიდან დივიზიამ გერმანელების ჯარს დასავლეთ უკრაინამდე მისდია, სადაც 1945 წლის ოქტომბრამდე დაჰყვეს. იბრძოდა ლვოვის, როვნოს და ლუცკის ოლქებში. შემდეგ კი 1949 წლამდე ქალაქ სარატოვში მსახურობდა.

1949 წელს შინ დაბრუნდა და თბილისსა და წყალტუბოში, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზით, სხვადასხვა თანამდებობებზე იყო გამწესებული. სწავლობდა მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტის IV კურსზე, სამწუხაროდ, ოჯახური პირობების გამო მისი დამთავრება ვერ შეძლო. წყალტუბოს მილიციის უფროსად მსახურობის პერიოდში, ხშირად იყო პოლიტბიუროს წევრების: კაგანოვიჩის და ბულგანინის სტუმარი. 1953 წლის მაისში დამსახურებულ პენსიაზე გავიდა. 25-მდე სხვადასხვა მედალთან ერთად, არის წითელი ვარსკვლავის, ვახტანგ გორგასლის და ღირსების ორდენების მფლობელი.

დღეს 100 წლის ნიკოლოზ ფოფხაძე ქალაქ თბილისში ოჯახთან ერთად ცხოვრობს. მუშაობს თავის ავტობიოგრაფიულ წიგნზე. 100 წლის ბერმუხა კვლავ მწყობრშია.

მეგობრები

◎ ენერგეტიკა

ქარი, რომელიც სინათლეს მოიტანს

ამ დღეებში თბილისში მიმდინარე უაღრესად მნიშვნელოვან საქმიან თავყრილობას, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მმართველთა საბჭოს რიგით 24-ე ყოველწლიური საერთაშორისო შეხვედრის ფარგლებში მიმდინარეობს, პირველი კონკრეტული შედეგები მოჰყვება.

მას შემდეგ, რაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა საქართველოში აქტიური მოღვაწეობა დაიწყო, მისი ერთპიროვნული, ასევე თანადაფინანსებით, ქვეყანაში 170-ზე მეტი პროექტი განხორციელდა და ამჟამად მიმდინარეობს. ბანკის მოღვაწეობის არეალში მეტად მნიშვნელოვანია ენერგეტიკული მიმართულება. და აი, 14 მაისს, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ და ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა კიდევ ერთ პროექტს დაუდეს საფუძველი, რომლის თანახმად, ქვეყანაში პირველი ქარის ელექტროსადგური აშენდება. ამასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაში აღინიშნა, რომ პროექტი იმ მემორანდუმის ფარგლებში გამოყოფილი სახსრებით განხორციელდება.

— ენერგეტიკის სფეროს მიმართ ორმხრივი ინტერესი ძალიან დიდია, რაც დიდად მისასალმებელია, ვინაიდან ენერგეტიკა ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სექტორია. ეკონომიკური წინსვლა სწორედ ამ სფეროს განვითარებაზეა დამოკიდებული, — განაცხადა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ. **—რაც შეეხება კონკრეტულ პროექტებს, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკმა უკვე გამოყო 50 მილიონი ევრო დარიალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის განხორციელებისთვის. გარდა ამისა, ასევე 85 მილიონი ევრო გამოყოფილია „ტატა ჯგუფის“ პროექტისთვის, რომელიც აჭარაში ხორციელდება,** — აღნიშნა ვიცე-პრემიერმა.

ენერგეტიკის სამინისტროსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკაში დამატებით კიდევ 30 მილიონი ევროს ინვესტირებაა გათვალისწინებული. პროექტის ფარგლებში საქართველოში პირველი ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი განხორციელდება, მისი სიმძლავრე 20 მეგავატი იქნება, მშენებლობა კი 2016 წლისთვის დასრულდება.

ნინო ალექსანდრია

მგაღმოენებლისაგან

„მაქთუბი“ მსოფლიო სიბრძნის საგანძურიდან ამოკრეფილი ფასდაუდებელი ნაწყვეტების კრებულია. ეს მოკლე ამბები, ავტორის მიერ სულ სხვადასხვა წყაროთაგან და კულტურათაგან ნასესხები, გაზეთ „ფოლია დე სან-პაულოსთან“ თანამშრომლობისას იშვა, კოელიომ 1993 წლის ივნისიდან 1994 წლის ივნისამდე დაწერილი ამბები შეარჩია და მთელი მსოფლიოს მკითხველთ წარუდგინა წიგნი „მაქთუბი“ – მსოფლიო ზეპირ ტრადიციათა მოზაიკური ტილოს ხატოვანი სურათხატი. თავად ავტორის თქმით, „მაქთუბი“ ჭკუის სწავლებისა თუ დარიგებათა კრებული კი არა, გამოცდილებების გაზიარების ცდაა, რის დაგემოვნებით კითხვაც ჩინებული საბაბია ფიქრთ გასართველად.

ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს ჩემ მიერ სხვადასხვა დროს გადმოენებულ ერთგვარად რელიგიურ-მისტიკური სულისკვეთებით გაჯერებულ კოელიოს „ალქიმიკოსს“, „მეხუთე მთას“, „მოგვის დღიურს“, „ბრიდას“, ამჯერად მსოფლიოში ამ სახელსმიანი ბრაზილიელი მწერლის (წერს პორტუგალიურად) კიდევ ერთ ფრიად თავშესაქცევ წიგნს ვთავაზობ.

ავტორისაგან

„მაქთუბი“ ჭკუის სწავლებისა თუ დარიგებათა კრებული კი არა, გამოცდილების გაზიარების ცდაა.

წიგნის მნიშვნელოვან ნაწილს ჩემი მოძღვრის ის გამონათქვამები შეადგენს, რომელთაც იმ თერთმეტი წლის მანძილზე ვისმენდი, იმისი ცოდნისა და გამოცდილების მოზიარე რომ ვხდებოდი. დანარჩენი ზოგი ჩემი მეგობრების ან იმათი მონათხრობი ამბებია, ვისაც ბედმა თუნდაც ერთხელ შემახვედრა, მაგრამ ვინც მაინც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. დაბოლოს, მაქთუბი – ჩემ მიერ წაკითხული იმ წიგნების გამოძახილია, რომელი წიგნებიც, როგორც იეზუიტი ანტონიო მელო იტყოდა, კაცობრიობის მთელი მოდგმის სულიერ მემკვიდრეობას ქმნიან.

თავის გამოჩენას ამქვეყნად „მაქთუბი“ უნდა უმადლოდეს ალსინო ლეიტე ნეტოს სატელეფონო ზარს, – ის იმ დროს, „ფოლია დე სან-პაულოს“ დასურათხატებული დამატების მთავარი რედაქტორი იყო. მან თანამშრომლობა რომ შემომთავაზა, მაშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიყავი და კარგად არც ვიცოდი, რა უნდა მეწერა, მაგრამ მაინც დავეთანხმე იმის წინადადებას, რაც თავისთავად იმდენად თამამ და შემაგულიანებელ გამოწვევად მეჩვენა, რომ გადავწყვიტე ნაბიჯის წინ გადადგმა, რამეთუ ცხოვრება გაბედულებას ნიშნავს. თავდაპირველად ეს საქმე ისერიგად გამიძნელდა, რომ კინაღამ უარიც კი ვთქვი: ყველაფერთან ერთად ჩემი წიგნების წარდგენის მიზნით ხშირი მოგზაურობაც მიწევდა ხან რომელ და ხან რომელ ქვეყანაში, ამიტომ ყოველკვირეული სვეტის გაძღოლა ერთგვარ წამებად მექცა. თუმცა, ნიშნები შთამაგონებდნენ, რომ აუცილებლად განმეგრძო – ჯერ მკითხველის წერილი მივიღე, მერე ერთმა მეგობარმა თავისი აზრი-შენიშვნა გამიზიარა, ვიღაცამ კი საგულდაგულოდ აკინძული გაზეთის ამონაჭრები მიჩვენა.

მიუკერძოებლობა და პირდაპირობა უცბად არ მისწავლია. ისეთი ტექსტების გადაკითხვა მომიხდა, მუდამ ჩემს აღფრთოვანებას რომ იწვევდნენ, და ეს ახალ-ახალი შეხვედრები უჩვეულო სიხარულს მანიჭებდნენ. დავდექი და დიდი გულმოდგინებით შევუდექი ჩემი მოძღვრის სიტყვების ჩაწერას. და თანდათან მუშტრის თვალით დავუწყე ცქერა ყველაფერს, რაც რომ ჩემ გარშემო ხდებოდა, უფრო სწორად, ამ ყველაფერს ვუყურებდი, როგორც მასალას ჯერეთ დაუწერელი „მაქთუბისთვის“. და ამან ისერიგად გამამდიდრა, რომ დღეს მადლიერებით ვიხსენებ ჩემს მაშინდელ ყოველდღიურ რუდუნებას. ამ წიგნში თავმოყრილია ის ტექსტები, რომელთაც ვაქვეყნებდი „ფოლია დე სან-პაულოში“ 1993 წლის 10 ივნისიდან 1994 წლის 11 ივნისამდე. „ნათლის მხედრის“ სვეტები აქ არ შემიტანია – იმ სვეტებმა ამავე სახელწოდების ცალკე წიგნი შეადგინეს.

ერთ-ერთი თავისი კრებულის წინათქმაში უკვე ხსენებულმა ანტონიო მელომ შენიშნა: „მე მხოლოდ და მხოლოდ ფეიქრის ამოცანას ვასრულებდი – არცრა ღირსება ტილოსი და ძაფისა არ გამაჩნიაო“.

მეც ზუსტად ასე ვარ.

პაულო კოელიო

ბაღიარებ, მამაო, ცისა და მიწის უფალო, ვინაიდან ბრძენთა და კეთილგონიერთ დაუმალე ეს და განუმხილე ჩვილ ბალღთ.

სახარება მათეს, 10:21

მწირი ტყეში ზის და ერთ უბრალო სახლს გასცქერის. ის ერთხელ უკვე ნამყოფია აქ თავის მეგობრებთან ერთად, მაგრამ მაშინ მხოლოდ მსგავსება შეამჩნია ამ სახლსა და იმ მავანი ესპანელი ხუროთმოძღვრის მიერ ნახელკეთილარ ნაგებობათა შორის, რომელი ხუროთმოძღვარიც მრავალი წლის წინათ ცხოვრობდა და არცროდის აქ არ ყოფილა. ეს ტყისპირა უბრალო სახლი კაბო-ფრიოს შორიახლოა, რიო-დე-ჟანეიროში, და სულ ერთიანად, როგორც იტყვიან, საღძირამდე მინის ნამსხვრევთაგან შეკოწიწებულია. ამ სახლის პატრონმა – სახელად გაბრიელმა – 1899 წელს ანგელოზი იძილსშორისა, რომელმა ანგელოზმაც მიუთხრო: „ააგე მინისგან სახლიო“. გაბრიელიც ადგა და დაიწყო დამსხვრეული თეფშების, სურების, ბარაურთების, ანუ სახლის სამშვენებელი ჭურჭლის, შორენკეცების შეგროვება და თან ბუტბუტებდა: „სუყოველი ნამსხვრევი თვალმომჭრელად გაბრწყინდებაო“. პირველი ორმოცი წელიწადი იქაურთ გაბრიელი შერეკილად მიაჩნდათ, მერე ხან რომელი მოგზაურის ყურადღება მიიპყრო იმისმა სახლმა, ხან რომლისამ, ის კი არა, იმ მოგზაურთ ხან თავიანთი მეგობრებიც მოჰყავდათ გაბრიელის სახლის სანახავად, – და მინის სახლის პატრონს სახელი გაუვარდა, გენიოსადაც კი მონათლეს, თუმცა, სიახლის მიმზიდველობას მალე ყავლი გაუვიდა და გაბრიელი კვლავ სახელჩაკრეფილი გახდა, მივიწყებას მიეცა, მაგრამ შენებაზე ხელი არ აუღია და 93 წლისამ შესაფერის ადგილს უკანასკნელი მინის ნამსხვრევი მოარგო და მიიცვალა.



პაულო კოელიო

მაქთუბი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

მწირმა გააბოლა. დღეს ის იმაზე აღარ ფიქრობს, რარიგ ჰგავს გაბრიელის სახლი გაუდის ნახელკეთილარს. მინის ნაგებობას თვალმიშტერებული ის თავის საკუთარ ცხოვრებაზე ფიქრობს, რომელი ცხოვრებაც – როგორც რომ სუყოველი ღვთისშვილის წუთისოფელი – იმ ყველაფრის ნაკუწთაგან არის შემდგარი, რაც იყო და რამაც ჩაიარა. მაგრამ დგება ისეთი წუთი, როცა ეს დაცალკევებულნი ნაკუწნი მოულოდნელად გარკვეულ სახეს იძენენ და ერთ რასმე მთლიანს, ერთიანს ქმნიან.



და მწირს, რომელიც მუხლებზე დაწყობილ ქაღალდის ფურცლებს დასცქერის, თავისი წარსულის ეპიზოდები აგონდება. ეს ნაკუწები დიახაც ამ წარსულის ნაკუწებია: ზოგიერთი ის ვითარებაა, რომელშიც მწირი არაერთხელ აღმოჩენილა, ზოგიერთიც იმ წიგნების ნაწყვეტებია, რომელი წიგნებიც ოდესღაც წაუკითხავს, ან მასწავლებლის რჩევა-დარიგებანია, მეგობართაგან მოთხრობილი თუ სადმე გაგონილი ამბებია. ბევრია იმ დროებაზე ფიქრიც, რომელ დროებაშიც ცხოვრება მოუხდა, არც ის ოცნებები ანებებენ თავს, მწირის თაობას რომ აღაფრთოვანებდნენ და ამხნევებდნენ. და ზუსტად ისევე, როგორც ეს გაბრიელი დასიზმრებული ანგელოზის კარნახით აშენებდა სახლს, მწირიც ცდილობს ახლა ერთმანეთის შესაბამისად დაალაგოს თავისი ჩანაწერები, რათა შეიგნოს და შეიცნოს თავისი საკუთარი სულიერი წყობა. იხსენებს, ბავშვობაში მალბ ტახანის წიგნი რომ წაიკითხა, რომელსაც „მაქთუბი“ ერქვა და ფიქრობს: „იქნებ მეც რაღაც მსგავსი რამ უნდა ვქნაო?“

მოძღვარი უბნობს:

– ცვლილებათა ჟამის მოახლოებას წინასწარ რომ ვიგრძნობთ ხოლმე, შეუცნობელი ბიძგის რამ ძალით იმ ფირის დატრიალებას ვიწყებთ, რომელზედაც ყველა ჩვენი ცხოვრებისეული წარუმატებლობა და მარცხია აღბეჭდილი. და, რა თქმა უნდა, რაც უფრო ვიზრდებით, სულ უფრო იზრდება ამ წარუმატებლობათა და მარცხთა ნუსხაც. მაგრამ, ამასთანავე, შეძენილი გამოცდილება იმის საშუალებას გვაძლევს, რომ თავი გავართვათ, გავუმკლავდეთ ყოველგვარ ხელმოცარულობას, თვით ამ ხელმოცარულობის შედეგთაც ვძლიოთ, და კვლავ იმ გზაზე გავიდეთ, რომელიც წინსვლას შეგვაძლებინებს. ეს კასეტა ჩვენ მიერ წარმოსახულ, გონებაში წარმოდგენილ მაგნიტოფონში უნდა ჩავდოთ. უკეთუ მარტო იმ ლენტს ვუყურებთ, რომელზედაც აღბეჭდილია ყველა ჩვენი წარუმატებლობა და მარცხი, აუცილებლად გავშეშდებით და გავხევდებით სულიერად. ხოლო, თუ მარტო ჩვენი მრავალმხრივი გამოცდილების ამსახველ ლენტს დავუწყებთ ყურებას, ჩვენი თავი, ბოლოს და ბოლოს, იმაზე ბევრად უფრო ბრძენი მოგვეჩვენება, ვიდრე სინამდვილეში ვართ. ამიტომ უეჭველად ორსავე ლენტს უნდა ვუყუროთ.

წარმოვიდგინოთ მუხლუხი, ხის დიდი ჭია თუ მატლი. წარმოვიდგინოთ, როგორ ასცქერის ცაში ფრინველთ თავისი ბედის მაწყევარი, და გულს ასკდება, ასეთი გონჯი რამ გამაჩინაო. „მე ყოვლის უფრო საზიზღარი არსება ვარ, – ფიქრობს ის, – აგრერიგად მახინჯი ყველას ვეზიზღები და სახოხავად ვარ განწირულიო“.

მაგრამ ერთხელაც დგება დღე, როცა ბუნება ითხოვს, რომ მუხლუხმა პარკი მოიქსოვოს. მუხლუხი თავზარდაცემულია, რამეთუ აღრე ამისთანა რამ თავის დღეში არ უქნია. ეჩვენება საძვლე საფლავში, აკლდამაში ვწვებიო, და წინასწარ ეთხოვება სიცოცხლეს, რომელსაც თან ემდურება და ესაყვედურება, თუმცა, მაინც ეწუწუნება შემოქმედს და უსამართლობას სდებს ბრალად: „ის იყო, ბოლოს და ბოლოს, შევეგუე ჩემ წილ უბარაქო წუთისოფელს და იმ კნინ წილსაც მართმევო!“ და სასოწარკვეთილი იკეტება თავის პარკში მწარე ბედს შერიგებული, მაგრამ სულ რამდენიმე დღეში ფრთახატულა პეპლად იქცევა. ახლა ყველას თვალსა სტაცებს და ჰაერში დაფარფატებს. და გაკვირვებულია, ეს რა ბრძნულად მოუწყვია გამჩენს ყველაფერიო, მართლაც რა ღრმაა სიცოცხლის იდუმალი აზრიო.

მავანი გარმიანელი მონასტრის წინამძღვართან მივიდა და უთხრა:

– მინდა, რომ ჩემი ცხოვრება ბევრად უფრო წმინდა, უკეთესი და ზნეობრივი იყოს, მაგრამ თავი ვერ დამიღწევია ცოდვიან და ქვენა აზრთაგან.

წინამძღვარმა შეამჩნია, რა ძლიერად ქროდა ქარი სავანის კედლებს მიღმა, და ჰკითხა მოსულს:

– აქ ძალიან ცხელა, შეგიძლია, რომ მცირეოდენი ქარი შეაგროვო იქ, გარეთ, და სავანეში შემოიტანო, რათა ცოტა გავგრილდეთ.

– არა, რასაკვირველია, ეგ შეუძლებელია!

– ზუსტად ეგრევე შეუძლებელია უფლის შეურაცხმყოფელ აზრთაგან განდგომა, – მიუგო წინამძღვარმა. – ოღონდ სუყოველი შენი ცდუნებისთვის თუ არას თქმას, დაუარებას ისწავლი, ის შენი ცდუნებანი ვერცრას ვერ გაზნევენ.

მოძღვარი უბნობს:

– უკეთუ აუცილებელია, რისამე გადაწყვეტა და არჩევანი გაქვს, ყოვლის უკეთესი ამ დროს წინსვლაა, თანაც შერიგებული უნდა იყო ყოველგვარ მოსალოდნელ შედეგს. რამეთუ შეუძლებელია წინასწარ იმის გაგება, რას რა მოჰყვება. და ნათელმხილველობისა თუ წინასწარმეტყველების ხელოვნება ის კი არ არის, რომ მომავალი განჭვრიტოს, არამედ ის არის, რომ ადამიანს თავისთვის საჭირო რამ ურჩიოს. ამ ხელოვნებათა ოსტატნი ჩინებულნი მრჩეველნი არიან, ხოლო წინასწარმეტყველად არც ერთი არ უქნია ღმერთს. ლოცვაში, რომელიც იესომ გვასწავლა, ნათქვამია: „იყოს ნება შენი“ და როს ეს ნება ჩვენ წინაშე პრობლემას რასმე აყენებს, იმის გადაწყვეტის გასაღებსაც იქვე გვერდით გვიდებს.

ხოლო წინამთქმელთ და მკითხავ-მარჩიელთ უკეთუ წინასწარ შეეძლებოდათ მყობადის განჭვრეტა, ყველანი უკლებლივ მდიდარნი, წარმატებულნი და ბედნიერნი იქნებოდნენ ოჯახურად.

შეგირდი მივიდა ოსტატთან და უთხრა:

– უკვე კარგა ხანია, რაც ხერხს რასმე დავეძებ, რათა გონება გამინათდეს და ბევრ რამეზე ამეხილოს თვალი. ახლა ვგრძნობ, რომ თითქმის მივუახლოვდი მიზანს. შენთან იმიტომ მოვედი, იქნებ მითხრა, რა შემდგომი ნაბიჯი უნდა გადავდგა.

– აქამდე რას შვრებოდი, როგორ ირჩენდი თავს? – დაეკითხა ოსტატი.

– არც არაფერს არ ვშვრებოდი. ჯერ ისევ დედ-მამის კისერზე ვარ. თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს.

– რახან მეკითხები, რა შემდგომი ნაბიჯი უნდა გადავდგაო, გეტყვი. ადექი და ნახევარი წუთი თვალმოუშორებლად უცქირე მზეს, – უთხრა ოსტატმა, და შეგირდიც ისე მოიქცა.

მერე, ის ნახევარი წუთი რომ გავიდა, ოსტატმა სთხოვა, მიდი, აბა, აღწერე ყველაფერი, რაც რამ შენ გარშემო მოიხილეო.

– არც არაფერი არ მომიხილავს, მზემ თვალი მომჭრა, – მიუგო შეგირდმა.

– ადამიანი, რომელიც დგას და მარტო გონების გასანათებელ ხერხს ეძებს, ხოლო თავის მოვალეობა-ვალდებულებებს სხვებს აკისრებს, ვერცროდის იმ ნათელს ვერ მოიხვეჭს, რომელმაც გონება უნდა გაუნათოს და თვალი უნდა აუხილოს, – დაასკვნა ოსტატმა.

მავანი მწირი პირენეებში ველს მიუყვებოდა და გზად ხნიერ მწყემსს ვისმე გადაეყარა. ლაპარაკ-ლაპარაკში იქვე მწვანეზე დასხდნენ და მწირმა, თუ რამ აბგაში სანოვაგე ჰქონდა, ამოალაგა, მცირედი სუფრა გაშალა, ხან ამ მთის თქვეს, ხან იმ მარისა, კარგა ხანს შეჰყვნენ ცხოვრების ავ-კარგზე ჭუკჭუკს. მე რომ ღმერთი მწამებოდაო, თქვა მწირმა, იმის დაჯერებაც მომიხდებოდა, რომ თავისუფალი კაცი არა ვარო, რამეთუ ღმერთი ყოველი ნაბიჯის გადადგმას განმისაზღვრავდაო.

მაშინ მწყემსმა ის ხეობასთან მიიყვანა, სადაც სუყოველი ბგერა უჩვეულოდ მკაფიო და მჭახე უპუ-გამოძახილს აჩენდა.

– ჩვენი ცხოვრება ამ ხეობის კლდე-ფერდობთა მსგავსია, – თქვა მწყემსმა. – ხოლო ბედი ძახილია, რომელსაც თითოეული ჩვენგანი გამოსცემს. და ეს ძახილი თვით ი მ ი ს გულამდე აღწევს, ხოლო მერე ზუსტად იმავე სახით ისევ ჩვენვე გვიბრუნდება.

ღმერთი, უპუ-გამოძახილის მსგავსად, სუყოველ ჩვენს ნაბიჯს ეხმიანება.

მაქთუბი არაბულად „დაწერილ რასმე“ ნიშნავს.

თუმცა, ამას მთლად მარჯვედ გადმოენებული არ ეთქმის, თუნდაც იმიტომ რომ, მართალია, ყველაფერი ამქვეყნად დიდი ხნის დაწერილი კია, მაგრამ ღმერთი კეთილმოწყალეა და თავის მელანს მხოლოდ ჩვენდა შესაწევნელად ხარჯავს.

ნიუ-იორკში ჩამოსულ მავანსა და მავანს კარგა გვიან გაეღვიძა და, სასტუმროდან რომ გამოვიდა, თავისი მანქანა ადგილზე აღარ დახვდა – პოლიციას წაეყვანა, რადგან უადგილო ადგილას იყო გაჩერებული.

ამ შემთხვევის გამო ნიუ-იორკის სტუმარს შეხვედრაზე დაგვიანდა, რისთვისაც იყო იქ ჩასული, ხოლო საქმიანი საღილი ბევრად მეტხანს გაგრძელდა, ვიდრე ის ვარაუდობდა. და ჯარიმაც, ბუნებრივია, კარგა გვარიანად გაეზრდებოდა. გაზრდილ ჯარიმაზე ფიქრს მიცემულს უეცრად წამოაგონდა, წინადღეს ერთდოლარიანი კუპიური რომ იპოვა. და რაღაც უცნაური კავშირი შეიცნო იმ კუპიურსა და დილანდელ შემთხვევას შორის. „იქნებ ის დოლარი სულაც იმას წავართვი, ვისაც სხვა ფული არცრა ჰქონდა! ვაითუ მშიერი დავტოვე უბედური!“

და მან იმ კუპიურის თავიდან მოშორება რომ გადაწყვიტა, უცებ იქვე მიწაზე მჯდომ მათხოვარს მოატანა თვალი. ადგა და წამერთ მიაწოდა იმას ის დოლარი.

– დაიცა, – შეეხმიანა მათხოვარი. – მე პოეტი ვარ და შენს სიკეთეს ლექსით გადაგიხდი.

– ოღონდ მოკლედ, თუ შეიძლება, – უთხრა მავანმა ჩამოსულმა, – ძალიან მეჩქარება.

– ცოცხალი თუ ხარ, სწორედ იმან გადაგარჩინა, – მიუგო მათხოვარმა. – იქ მისვლა რომ დაგაგვიანდა, სადაც აგრერიგად მიგეჩქარებოდა.

შეგირდმა უთხრა ოსტატს:

– თითქმის მთელი დღევანდელი დღე იმაზე ვფიქრობდი, რაზეც არც უნდა მეფიქრა, ის მენიაზებოდა, რაც არც უნდა მომესურვილებინა, ისეთ გეგმებს ვაწყობდი, წინასწარვე თუ უარვყოფდი, ბევრად აჯობებდა.

მაშინ ოსტატმა იქვე ტყეში გასეირნება შესთავაზა. გზაში რომელიღაც ბალახზე მიუთითა და ჰკითხა, აბა, თუ იცი, რა ბალახიაო.

– ჩვენში დევსურავანდასაც ეძახიან და ცოფის ბალახსაც, – თქვა შეგირდმა. – მაგის ფხალად ჭამა არ შეიძლება, ეგრევე წამლავს და კლავს ადამიანს.

– მაგრამ ამ შხამიან ბალახს მხოლოდ თუ უცქერი, სავსებით უვნებელია, – უთხრა ოსტატმა. – ეგრევე ვერც ავი, ქვენა აზრები ვერ გავნებენ, უკეთუ თავს არ მოახიბვლინებ და ხორცს არ შეასხამ.

საფრანგეთსა და ესპანეთს შორის მთაგრეხილი რამ გადაჭიმულა, რომლის ერთ-ერთ ქედზე პატარა სოფელია წამოსკუპებული, სახელად არუელესი. ამ სოფლის ქვევით, ფერდობს თუ ჩაჰყვები, ველზე გახვალ, ფერდობს მუდამ-დღე ჩასდევს და ასდევს ერთი მწყემსი ბერიკაცი.

და არუელესში პირველად მოხვედრილი ყარიბი ვინმე ვერაფერს ვერ ამჩნევს.

მეორედ კი ხედავს, რომ მწყემს ბერიკაცს მუდამ ვიღაც კაცი ახლავს. და არუელესში ყოველი ჩამოსვლისას თვალში ხვდება მწყემსის სულ ახალი და ახალი წვრილმანები – ტანსაცმელი, ქუდი, კომბალი, სათვალე. ხოლო დღეს, როცა კი ის ამ პატარა სოფელს იგონებს, ნიადაგ თვალწინ იყენებს იმ ბერიკაცს, რომელსაც ეს ფიქრადაც არ მოსდის. ყარიბს მხოლოდ ერთხელ მოუხდა იმასთან დალაპარაკება და ხუმრობით ჰკითხა, ამ საოცრად ლამაზ ადგილას თვითონ ღმერთიც ხომ არ ბინადრობსო.

– ღმერთი ყველგან ცხოვრობს, – მიუგო ბერიკაცმა, – სადაც კი ეცხოვრება.

ერთხელ მოძღვარი საღამო ჟამს თავის მოწაფეებს შეხვდა და სთხოვა, მიდით, კოცონი დაანთეთ და დავილაპარაკოთ იმ მთისა და ამ ბარისაო.

– სულიერი გზა ამ ცეცხლის მსგავსია, – თქვა მოძღვარმა. – ვისაც ცეცხლის დანთება სურს, მწარე და უსიამოვნო ბოლიც უნდა აიტანოს, რომელი ბოლიც ყელს აღიზიანებს და თვალთ აცრემლიანებს, ზუსტად ეგრევე ხდება რწმენის შეძენაც. მაგრამ ცეცხლი როს ძლიერად აბრიალდება, ბოლი ქრება და აღუდღუდებული ალი არემარეს ანათებს.



– უკეთუ ვინმე წინასწარ დაგვინთებს კოცონს? – იკითხა ერთ-ერთმა მოწაფემ. – და გვიხსნის ა ხ ა ლ დ ა ნ თ ე ბ უ ლ ი ცეცხლის უსიამოვნო ბოლისგან?

– ვინც მაგას იზამს, ის ცრუოსტატი იქნება. იმას სადაც მოეპრიანება, იქ დაანთებს ცეცხლს მხოლოდ თავისი ნებისა და გემოვნების მიხედვით. ჩაქრობითაც როცა უნდა, მაშინ ჩააქრობს, ხოლო იმის გამო, რომ არცვისთვის არ უსწავლებია კოცონის დანთება, ქვეყნიერება წყვდიადში ჩაიძირება.

ერთმა ჩემმა მოყვასმა მანდილოსანმა წაიყვანა თავისი სამი შვილი და სადღაც კანადის გადაკარგულ ადგილას პატარა ფერმაში დაემკვიდრა, რათა შეუფერხებლად მხოლოდ და მხოლოდ სულიერ ჭვრეტას მისცემოდა.

მაგრამ წელიწადსაც არ გაევლო, თავი სიყვარულმა წაართვა და ისევ გათხოვდა, დაეუფლა მედიტაციის ტექნიკას, როგორც იტყვიან, ნემსის ყუნწში გაძვრა და მოახერხა სკოლის გახსნა, შეიძინა მეგობრებიც და მტრებიც, თავის მოვლას დიდ ყურადღებას აღარ უთმობდა, მეტადრე სულ აღარ ანაღვლებდა, რა დღეში ჰქონდა კბილები და აბსცესი დაიმართა, ადრე თუ ბევრჯერ უცხოსთვის ქარბუქში გაუჩერებინებია მანქანა, მერე თავად ისწავლა თავისი ავტომობილის შეკეთება, ისწავლა გაყინული საკანალიზაციო მილების გათბობა, აგრეთვე უმუშევრობის გამო დახმარებით ცხოვრება, სულაც არ აწუხებდა ცენტრალური გათბობის უქონლობა იმ ოთახში, სადაც იძინებდა, არც უმიზეზოდ სიცილს და სასოწარკვეთილებისგან ტირილს ერიდებოდა. ცოტა ხანში ეკლესიაც კი ააშენა, სახლი შეაკეთა, კედლებზე ფერადი ქაღალდი გააკრა, თანაც ერთხელ არ ჩაუგდია დათქმული სულიერი ჭვრეტის მეცადინეობა.

– და, ბოლოსა და ბოლოს, მივხვდი, რომ ლოცვად დგომა სულაც არ ნიშნავს განმარტოებულობასა და კარჩაკეტილობას, –აღიარა მან. – უფლის სიყვარული იმზომ დიდია, რომ აუცილებლად სხვასაც უნდა უწილადო.

– ჯენს გზას რომ დაადგები, – უთხრა ოსტატმა შეგირდს, – დასაწყისში კარს რასმეს დაინახავ, ზედ რაღაც სიტყვები ეწერება. მაშინვე მობრუნდი და გამაგებინე იმ სიტყვების შინაარსი.

და შეგირდმაც მთელი თავისი სხეულისა და სულის ძალა სანუკვარი კარის საძებნელად მიმართა. მართლაც ბევრი არ უვლია, მალევე მიადგა იმ კარს და თავის ოსტატთან მიბრუნდა.

– გზის დასაწყისშივე მოვიხილე სიტყვები: „ეს შეუძლებელია“.

– ეგ კედელს ეწერა თუ კარს? – დაეკითხა ოსტატი.

– კარს.

– მაშინ სახელური დასწიე და შედი.

შეგირდი ასეც მოიქცა. წარწერა კარის ლირსზე, ჩარჩოს თხელ ფიცარზე მიეასოებინათ და, რა თქმა უნდა, კართან ერთად დაიძრა, მიიწია. ხოლო როს კარი მთლიანად, საღძირამდე შეიღო, წარწერა გაუჩინარდა და შეგირდმა გაბედულად შეაბიჯა შიგ.

მოძღვარი უბნობს:

– დახუჭე თვალები. თუმცაღა, ეგ აუცილებელიც არ არის. ისიც საკმარისია, თუ წამიერად მფრინავი ჩიტების გუნდს წარმოიდგენ. წარმოიდგინე? ახლა მითხარი, რამდენი შენიშნე – ხუთი? თერთმეტი? ჩვიდმეტი?

რაც არ უნდა მიპასუხო – ჩიტების ზუსტი რიცხვის განსაზღვრა ნამდვილად ძნელია – ერთი რამ ამ პატარა ექსპერიმენტში სავსებით ნათელი იქნება. ჩიტების გუნდის წარმოდგენა კი შეიძელი, მაგრამ იმათი რაოდენობის განსაზღვრის ძალა არ აღმოგაჩნდა. არადა, ეგ შენი წარმოდგენილი სურათი ზუსტი, ნათელი და განსაზღვრული იყო. პასუხიც სადღაც უთუოდ არის. ვინაა ის, ვინც განსაზღვრა, მაინც რამდენი ჩიტი უნდა ყოფილიყო შენს წარმოდგენილ თვალსაწიერში? ყოველ შემთხვევაში, შენ არა ხარ.

მავანმა განდეგილის მონახულება გადაწყვიტა. ის განდეგილი სცეტის მონასტრის შორიახლო ცხოვრობდა სავანეში. მან ბევრი იხეტიალა ანდეზე უდაბნოში, სანამ ბოლოს ამ სავანეს არ მიადგა.

– მე იმის გაგება მინდა, რა პირველი ნაბიჯი უნდა გადავდგა სულიერი შემეცნების გზაზე.

განდეგილმა ის ერთ პატარა ტბასთან მიიყვანა და, წყალში შენს ანარეკლს ჩახედეო, უთხრა. იმანაც დაუჯერა, მაგრამ განდეგილმა იმწამსვე წყალში კენჭების სროლა დაიწყო, და აყლანტებული წყალი აჭავლდა.

– სანამ შენ ქვების სროლას არ შეწყვეტ, მე ჩემი ანარეკლის დანახვას ვერ შევძლებ!

– როგორც აღელვებულ წყალშია შეუძლებელი საკუთარი სახის დანახვა, ისე შეუძლებელია ღმერთის მოძიება, უკეთუ სული დაბნელებულია ძიების აუცილებლობითა და მარცხის შიშით, – მიუგო განდეგილმა. – აი პირველი ნაბიჯიც სწორედ ეს არის.

ობხანად, ოდეს მწირი ძენ-ბუდიზმს იყენებდა, იმისი მოძღვარი დ ო ძ ო ს (ადგილი, სადაც მოწაფენი იკრიბებიან) კუთხეში მივიდა და, იქიდან რომ წამოვიდა, ბამბუკის ჯოხი გამოიყოლა. ზოგ-ზოგმა მოწაფემ, ვინც გულისყურის მოკრება ვერ შეძლო, ხელი ასწია, მოძღვარი მიუახლოვდა და თითოეულ იმათგანს მხარზე სამჯერ დაჰკრა ჯოხი.

პირველ დღეს მწირს ეს ამბავი შუა საუკუნეების გადმონაშთად ეჩვენა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ აუცილებელია სულიერი ტკივილის ფიზიკურში გადატანა, რათა ცხადად ვიგრძნოთ იმ ტკივილის მთელი უსიამოვნო შედეგი. სანტიაგოს გზას რომ მიუყვებოდა ხოლმე, ის ასეთნაირ ვარჯიშს მიმართავდა – ყოველთვის, როცა კი საძრახისი რამ აზრი გაუჩნდებოდა, ხელისგულის რბილ ადგილას, ცერქვეშ, მთელი ძალით ირჭობდა სალოკი თითის ფრჩხილს. უღირს ზრახვა-გულისთქმათა ყველა შემაზრზენი შედეგი მნიშვნელოვნად გვიან ვლინდება, თუმცა, თუ ამ ჩვენთა ავ ზრახვათა და გულისთქმათა სადინარს ფიზიკურ მიმართულებას მივცემთ და ისე გავხდით ჩვენთვის მტკივნეულს, უმალ შევიცნობთ მთელ იმ საშინელებას, რასაც ისინი გვნებენ. და ნელ-ნელა ვსწავლობთ იმათგან თავის არიდებას.

32 წლის პაციენტმა ექიმ რიჩარდ კროულის მიმართა:

– მიშველეთ რამე. ვერა და ვერ დამიღწევია თავი ერთი ცუდი ჩვევისთვის. თითსა ვწოვ.

– ეგ ამბავი ნუ გაღელვებს, – უთხრა კროულიმ. ოღონდ ისე ქენი, რომ შენი თითი შეესაბამებოდეს კვირის თითოეულ დღეს.

ექიმის ამ რჩევის შემდეგ პირთან თითის მიტანისას პაციენტი იძულებული იყო, რომ ინსტინქტურად გაეხსენებინა, ათი თითიდან რომელი უნდა ეწოვა იმ დღეს. ჯერ ერთ კვირასაც არ გაევლო, რომ ის უკვე განიკურნა თავისი მავნე მიდრეკილებისგან.

– როცა ბოროტება ჩვეულებრივად გვექცევა, ძალიან ძნელდება თავის გართმევა, – ამბობს რიჩარდ კროული. – მაგრამ როს ის ბოროტება ჩვენგან ახალ დამოკიდებულებას, რამე გადაწყვეტილებასა თუ არჩევანს ითხოვს თავის მიმართ, მიმხვედრი ხდება, რომ არსებითად ის ჩვენგან არ იმსახურებს ამგვარ ძალისხმევას.

ძველ რომში წინამთქმელმა-გულთმისანმა ქალებმა, რომელთაც სიბილებს უხმობდნენ, ცხრა წიგნი დაწერეს, სადაც ქვეყნის მომავალს წინასწარმეტყველებდნენ.

ის ცხრავე წიგნი იმპერატორ ტიბერიუსს მიუტანეს.

– რა ღირს? – იკითხა იმპერატორმა.

– ასი ოქრო, – მიუგეს სიბილებმა.

იმპერატორი გაბრაზდა და ეგრევე გამოყარა სუყველანი. სიბილებმა სამი წიგნი დაწვეს, ისევ მიადგნენ ტიბერიუსს და წინანდელი ფასი მოსთხოვეს.

ტიბერიუსმა გადაიხარხარა და დაეუარა:

რატომ უნდა გადაგიხადოთ ექვს წიგნში იმდენივე, რამდენიც ათი ღირდაო.

მაშინ სიბილებმა კიდევ სამი წიგნი აქციეს ფერფლად და დარჩენილი სამი მიიტანეს იმპერატორის სასახლეში:

– ეს სამი წიგნიც ასი ოქრო ღირს.

და ცნობისწადილით შეგულიანებულმა ტიბერიუსმა, ბოლოს და ბოლოს, დაუთმო, გაიღო ასი ოქრო, თუმცა, რა ბედი ელოდა რომს, მთლად ყველაფერი ვერ გაიგო.

(გაგრძელება იქნება)

დედამიწის ზურგზე

აშშ დაეხმარება შექმნან სპარსეთის ყურეში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა

რეგიონული უშიშროების პრობლემები საკვანძო გახდა არაბეთ-ამერიკული სამიტისათვის კემპ-დევიდში, კერძოდ, ირანთან დაგეგმილი ბირთვული გარიგების თვალსაზრისით. ამერიკის შეერთებული შტატები შეუთანხმდა მას, რომ გააღრმავებს და გააფართოებს თანამშრომლობას უშიშროების სფეროში.

ისრაელში პარლამენტმა მთავრობის შემადგენლობა დაამტკიცა

ქვეყნის მთავრობა 19 მინისტრისგან, 2 „უპორტფელო“ მინისტრისა და 4 მინისტრის მოადგილისგან შედგება. სამთავრობო კოალიციამ პრემიერ დენიამინ ნეთანიაჰუს მეთაურობით შეძლო მოეგროვებინა 61 მანდატი 120-დან.

„ისლამური სახელმწიფოს“ მოთარეშეები გაყარეს ანტიკური პალმირას ნანგრევებიდან

ტერორისტების ბანდებმა ხელში ჩაიგდეს მეზობელი ოაზისი ეს-სუხნა, რომელიც სირიის უდაბნოში პალმირასაგან 70 კილომეტრში მდებარეობს, და ხუთშაბათს გამოჩნდნენ ქალაქის აღმოსავლეთ უბნებში. მკაცრი ბრძოლა, როგორც თვითმხილველები მოწმობენ, მიმდინარეობდა ბურჯ-ელ-იშარის კოშკის მახლობლად პალმირას მიდამოებში. იქ ბანდიტურ ფორმირებათა ათობით წევრი მოკლეს, გაანადგურეს მათი სატრანსპორტო საშუალებები.

ჯონ მაკკეინმა უარი განაცხადა გახდეს უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველი - „მდგომარეობა ნებას არ მაძლევს“

სენატორი-რესპუბლიკელი, რომელიც თავისთვის მოულოდნელად შეიყვანეს უკრაინის პრეზიდენტთან არსებულ რეფორმების სასწრაფოდ შექმნილი საბჭოს შემადგენლობაში, მადლობას იხდის გაწეული ღირსებისათვის, მაგრამ უარს აცხადებს ამაზე და მიუთითებს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაზე. თუმცა, მან დაგვარწმუნა, რომ კვლავაც იბრძოლებს ვლადიმერ პუტინის წინააღმდეგ ვაშინგტონიდან.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შორენა მოისწრაფეშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შორენა მოისწრაფეშვილი (პირადი №33001021072), მის: ოზურგეთი, ჯორჯიაშვილის ქ. №1;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ოზურგეთი, სოფელი ნატანები (შეკვეთილი), 301კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 26.01.47.080).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 7030.50 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 29 მაისი, 11:00 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალეები:** შაქრო ვაშაყმაძე (პირადი №33001021411), მის: ოზურგეთი, ლალიონის №11;
შორენა მოისწრაფეშვილი (პირადი №33001021072), მის: ოზურგეთი, ჯორჯიაშვილის ქ. №1

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 29 მაისის 11:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტი (SLRPIII)**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**
ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: **P148048**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **SLRPIII/CS/QCBS-01**
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **დეტალური პროექტისა და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება 10 გზის მონაკვეთის რეაბილიტაციისათვის შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის ფარგლებში (SLRP III)**
კონტრაქტის ხანგრძლივობა: **6 თვე**
შერჩევის მეთოდი: **ხარისხზე და ფასზე დაფუძნებული შერჩევა**
შეფასების ვალუტა: **ლარი**

შეფასებული კომპანია(ები):

დასახელება: TECHNITAL S.p.A/იტალია ქვე-კონსულტანტი Sanders Group/საქართველო
ტექნიკური ქულა: 71.23
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 877,800.00 ევრო;
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 877,800.00 ევრო;
ერთიანი შეფასების ქულა: 69.00
საბოლოო ადგილი: III
დისკვალიფიკაციის მიზეზი: სატენდერო მოთხოვნებთან (RFP) ITC 16.4 შეუსაბამობა;

დასახელება: Dohwa Engineering Co. Ltd/კორეა ქვე-კონსულტანტი IDM Ltd/საქართველო
ტექნიკური ქულა: 73.31
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 235,740.00 აშშ დოლარი და 808,050.00 ლარი;
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 235,740.00 აშშ დოლარი და 808,050.00 ლარი;
ერთიანი შეფასების ქულა: 78.12
საბოლოო ადგილი: II

დასახელება: ე.ს. Kocks Consult GmbH/გერმანია & Transproject Ltd/ საქართველო ტექნიკური ქულა: 78.74
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 657,700.00 აშშ დოლარი
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 657,700.00 აშშ დოლარი;
ერთიანი შეფასების ქულა: 82.99
საბოლოო ადგილი: I
დისკვალიფიკაციის მიზეზი: სატენდერო მოთხოვნებთან (RFP) ITC 16.4 შეუსაბამობა;

გამარჯვებული კომპანია(ები):
დასახელება: Dohwa Engineering Co. Ltd/კორეა ქვე-კონსულტანტი IDM Ltd/საქართველო
ტექნიკური ქულა: 73.31
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 235,740.00 აშშ დოლარი და 808,050.00 ლარი;
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 235,740.00 აშშ დოლარი და 808,050.00 ლარი;
ერთიანი შეფასების ქულა: 78.12
საბოლოო ადგილი: II
საკონტრაქტო ღირებულება: 278,173.20 აშშ დოლარი და 953,499.00 ლარი გადასახადების ჩათვლით.

Contract Award Notification

Project Name: **Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)**
The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**
Country: **Georgia**
Project Number: **P148048**

Bid/Contract Reference No: **SLRP III/CS/QCBS-01**
Scope of Contract: **Preparation of Detailed Design and Bidding Documents for Rehabilitation of 10 road sections under the Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)**
Duration of Contract: **6 months**
Method of Selection: **Quality and Cost-Based Selection (QCBS)**
Evaluation Currency: **Georgian Lari**

Evaluated Consultant(s)/Firm:
Name: TECHNITAL S.p.A/Italy in sub-consultancy with Sanders Group/Georgia
Technical Score: 71.23
Financial Proposal Price at the opening: EUR 877,800.00
Evaluated Price: EUR 877,800.00
Final Combined Evaluation Score: 69.00
Final Ranking: III
Reason (s) for Rejection: Rejected because of noncompliance with ITC 16.4 requirement of Request for Proposals;

Name: Dohwa Engineering Co. Ltd/Korea in sub-consultancy with IDM Ltd/Georgia
Technical Score: 73.31
Financial Proposal Price at the opening: USD 235,740.00 and GEL 808,050.00;
Evaluated Price: USD 235,740.00 and GEL 808,050.00;
Final Combined Evaluation Score: 78.12
Final Ranking: II

Name: JV Kocks Consult GmbH/Germany & Transproject Ltd/Georgia
Technical Score: 78.74
Financial Proposal Price at the opening: USD 657,700.00;
Evaluated Price: USD 657,700.00;
Final Combined Evaluation Score: 82.99
Final Ranking: I
Reason (s) for Rejection: Rejected because of noncompliance with ITC 16.4 requirement of Request for Proposals;

Awarded Consultant(s)/Firm:
Name: Dohwa Engineering Co. Ltd/Korea in sub-consultancy with IDM Ltd/Georgia
Technical Score: 73.31
Financial Proposal Price at the opening: USD 235,740.00 and GEL 808,050.00;
Evaluated Price: USD 235,740.00 and GEL 808,050.00;
Final Combined Evaluation Score: 78.12
Final Ranking: II
Contract Price: USD 278,173.20 and GEL 953,499.00 inclusive of local indirect taxes;

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 4 მაისის №1-1/173 ბრძანების შესაბამისად:

2009 წლის 29 ოქტომბერს საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება (სპეციალური ოპერაციები) - საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი I (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 17 ნოემბრის №2087-IIს დადგენილებით). აღნიშნული სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად, პროექტის განმახორციელებელი უწყების – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, ქობულეთის შემოვლითი გზის განვითარების პროექტის ფარგლებში (კმ12.4-კმ31.259), დამუშავდა და აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ დამტკიცდა მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა (LARP III).

ქობულეთის შემოვლითი გზის განვითარების პროექტის განხორციელებისას წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვის აუცილებლობა. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ უძრავი ქონების გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა მესაკუთრეების უმეტეს ნაწილთან (დაახლოებით 90%-თან). საკუთრების გამოსყიდვის შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული ქობულეთის შემოვლითი გზის განვითარების პროექტით განსაზღვრული სამუშაოების ზოლში ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზედა აჭყვასა და სოფელ ხუცუბანში მდებარე შემდეგი 3 ერთეული უძრავი ქონების თანამესაკუთრეებთან:

1) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №20.47.04.084. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი 2501 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები.

2) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №20.39.04.161 საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი 544კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები;

3) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №20.39.04.162 საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი 1192კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა.

მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულების შემდეგ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეებს წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით (LARP III) განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ.

ამავე შეტყობინებით მესაკუთრეები ინფორმირებულ იქნენ, რომ მათი უარის შემთხვევაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მათი საკუთრების პროექტის ფარგლებში მოქცეულ ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს. შესაბამისად, თანხმობის მიუღწევლობის გამო, დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება და 2015 წლის 4 მაისს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/173 ბრძანება **„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“,** რომლითაც განისაზღვრა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის გარდაუვლობა, ხოლო ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე 2015 წლის 11 მაისს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის 5 ივნისისათვის საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს სასამართლოში განცხადების შეტანას, რათა მოიპოვოს ექსპროპრიაციის უფლება პროექტისათვის საჭირო ფართებზე.

ექსპროპრიაციის უფლება უნდა გავრცელდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 4 მაისის №1-1/173 ბრძანებით განსაზღვრულ შემდეგი მესაკუთრეების ქონებაზე:

ეკატერინე კახიძის პ/ნ 61004060714); **მერი სურმანიძის** (პ/ნ 61004047347); **ნანა ბაუჟაძის** (პ/ნ 61005000843); **სულეიმან სურმანიძის** (პ/ნ 61005001391) თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე - საკადასტრო კოდი **№20.47.04.084,** საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი **2501** კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები.

ბეგლარ ქამაშიძის (პ/ნ 61004001021); **თემურ ქამაშიძის** (პ/ნ 61004003525) **თენგიზ ქამაშიძის** (პ/ნ 61004006556); **მაყვალა ქამაშიძის** (პ/ნ 61004042443) თანასაკუთრებაში არსებულ 2 უძრავ ქონებაზე - 1) საკადასტრო კოდი **№20.39.04.161,** საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი 544კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები;

2). საკადასტრო კოდი **№20.39.04.162,** საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთი 1192კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო განხილვის თარიღი.

◎ ვითარება

ვინ შეეწირება ლარის ხანძარს?

ირაკლი ღარიბაშვილი სამთავრობო კარუსელისთვის ემზადება. ექსპერტების განცხადებით, მინისტრთა კაბინეტის მხოლოდ სამი მინისტრით განახლება ღარიბაშვილს შემდგომში მთავრობის შემადგენლობის მკვეთრი გადახალისებისთვის სჭირდებოდა. პრემიერ-მინისტრს უკვე 6 მინისტრის შეცვლის შესაძლებლობა აქვს.

მთავრობა მორიგი ცვლილებების მოლოდინშია?

გავრცელებული ინფორმაციით, ღარიბაშვილის მინისტრთა კაბინეტს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური დატოვებს. არაოფიციალური ინფორმაციით, გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. თავად ნოდარ ხადური თავისი შესაძლო გადადგომის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ჭორს უწოდებს და აცხადებს, რომ ახლა ჭორებზე საუბრის დრო არ არის, რადგან საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება ტარდება.

ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ვერ ხედავს მიზეზს, რის გამოც ფინანსთა მინისტრი თანამდებობიდან უნდა გათავისუფლდეს.

„პირველად მესმის, ალბათ შეკითხვა პრემიერ-მინისტრს უნდა დაუსვათ, თუმცა, მე ვერ ვხედავ ამის ვერანაირ მიზეზს“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

სამთავრობო ცვლილებას არ გამორიცხავს ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე, რომლის განცხადებით, ერთი-ორი მინისტრი შეიძლება კიდევაც შეიცვალოს, მაგრამ მისივე თქმით, ეს არ მიგვიყვანს ნდობის გამოცხადების საჭიროებამდე. ყოფილი პრემიერის ყოფილი მრჩეველი გია ხუხაშვილი ამბობს, რომ მანანა კობახიძე არ არის იმ წრეში, სადაც ასეთ ინფორმაციას პირველი გებულობენ – „თუ ხელისუფლებას უნდა, რომ გადარჩეს, მას მოუწევს ქვეყნის მართვის სისტემური გადახედვა“.

„არგუმენტი, რომ სულ ცოტა ხნის წინათ გამოუცხადა პარლამენტმა ნდობა ამ მთავრობას და ეს მთავრობა უნდა შენარჩუნდეს, ასე არ არის. ნდობის გამოცხადება არ უკავშირდებოდა მინისტრთა კაბინეტში რეალურ ცვლილებას. ნდობის გამოცხადება იყო წმინდა ტაქტიკური ნაბიჯი. სანამ მძიმეწონიან მინისტრებს შეეხებოდნენ, მანამდე მთავრობას სკამი ჰქონდა დასაგრძელებელი. ანუ 6-კაციანი კვოტა ჰქონდა მისაღები. ამიტომ, ნდობის თემა იყო გასავლელი, იმისათვის, რომ ძირითადი რეორგანიზაციის დაწყების პირობებში პრემიერ-მინისტრს ჰქონდეს კომფორტი, რომ პარლამენტის გარეშე ერთი ხელის მოწერით 6 მინისტრი გაათავისუფლოს“, – აცხადებს ხუხაშვილი.

მისივე თქმით, პირველ ეტაპზე ორი არაფრისმთქმელი მინისტრის განთავისუფლებით შემოიფარგლნენ, რათა პარლამენტში არ დაწყებულიყო გარკვეული პოლიტიკური რყევები – სხვა მინისტრებთან მიმართებაში, იქნებოდა ეს კახი კალაძე თუ გიორგი კვირიკაშვილი – გარკვეული რისკის შემცველი იყო.

„როდესაც სისტემურ ცვლილებას იწყებ, წინასწარ უნდა გქონდეს იმის მოლოდინი, რომ ამ ცვლილებების შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდება. დღეს არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მდგომარეობა შეიძლება გამოსწორდეს და ის შეიძლება ახალ მინისტრებს დაუკავშირდეს, არ არსებობს.

ამიტომ, ხელისუფლება ელოდება იმ კრიტიკულ წერტილს, როდესაც მოსალოდნელი იქნება გარკვეული პოზიტივის მოტანა. ამ პოზიტივის ინიცირებამდე მოხდება მინისტრების ჩანაცვლება.

ავიღოთ იგივე ქადაგიძის მოდელი, ხელისუფლებამ მშვენივრად იცის, **რომ ქადაგიძის მოხსნით სიტუაცია ვერ გამოსწორდება, მაგრამ დღეს მას აქვს კომფორტი, ხელი გაიშვიროს ქადაგიძისკენ, როგორც დისკრედიტებული პიროვნებისკენ. ხელისუფლებას აწყობს ეროვნული ბანკის თანამდებობაზე იყოს ე.წ. განტევების ვაცი, რომელსაც შეახოცავენ ყველა პრობლემას. ქადაგიძე, რომ ჩაანცვლონ თავიანთი კადრით, ვითარება მაინც ვერ გამოსწორდება“,** – აცხადებს ხუხაშვილი და დასძენს: **„თუ ხელისუფლებამ პროცესი შემოდგომამდე არ დაასრულა, მთლიანად არ მოხდა მთავრობის რეორგანიზაცია, დაწყებული პრემიერ-მინისტრით, ამ შემთხვევაში, ხელისუფლებას გაუჩნდება უფრო მეტი პრობლემა.**

მთლიანად ხელისუფლების სიცოცხლისუნარიანობა დადგენა ეჭვქვეშ და შესაძლებელია, უფრო სერიოზული დღეები მივიღოთ. ხელისუფლება ყოველდღიურად კარგავს ავტორიტეტს.

იმდენად დისტანცირებულია საზოგადოება პოლიტიკური ელიტისგან, რომ ქვეყანა შესაძლოა, სოციალურად უმართავი პროცესების წინაშე დადგეს. სამწუხაროდ, უმოქმედობა და დრო, ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მუშაობს. თუ პოლიტიკის მიღმა დაიწყო პროცესები, ეს ძალიან დიდი ხიფათის შემცველია, ამას „ნაციონალური მოძრაობაც“ კი ჯობია, იმიტომ, რომ ეს უკვე ქაოსს ნიშნავს“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას გია ხუხაშვილი.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ ლარის ვარდნის პროცესი ისეთი ტემპით მიმდინარეობს, რომ მისი შეჩერებისთვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს. თუმცა, როგორც პოლიტოლოგი აცხადებს, მისთვის უცნობია, ვინ შეეწირება ლარის ხანძარს.

„სიმართლე გითხრათ, წმინდა პოლიტტექნოლოგიური თვალსაზრისით ვუყურებდი ამ თემას, ანუ არჩევნების პრესპექტივის თვალსაზრისით. როცა საზოგადოება ხელისუფლებით უკმაყოფილოა, არჩევნებამდე უნდა მოხდეს ცვლილება, რომ ახალმა შემადგენლობამ ახალი უკმაყოფილების დაგროვება ვერ მოასწროს. ამიტომ, ვთვლიდი, რომ ნაადრევი იყო ასეთი ცვლილება, მაგრამ სამწუხაროდ, ლარმა გააგრძელა თავის დახრა დოლართან. ამ პროცესის შეჩერების მექანიზმები ჩემთვის უცნობია.

მინისტთა კაბინეტი აბრალებს ევროვნულ ბანკს, რომელიც თავის მხრივ თითს იშვერს ეკონომიკური ბლოკისკენ. თუ აღმოჩნდება, რომ მართლა ეკონომიკური ბლოკია ამ პროცესის მიზეზი, მაშინ ძნელი სავარაუდო არ არის, ვინ შეეწირება ლარის ხანძარს. მე როგორც არასპეციალისტს, ჯერჯერობით დამაჯერებელი მსჯელობა არ მომისმენია იმაზე, რა მოხდა ლართან დაკავშირებით და ვისი პასუხსიმგებლობაა“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას რამაზ საყვარელიძე.

თამთა ქარჩავა

◎ ნდობა

საქართველო 2017 წელს 20-წლამდელ მორაგბეთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს

მსოფლიო რაგბის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით 20-წლამდელ მორაგბეთა 2017 წლის ჩემპიონატი საქართველოში გაიმართება. მომავალ ვარსკვლავებს საქართველო 2 წელიწადში თბილისსა და ქუთაისში ელის.

ამ საკითხთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა, რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, ქუთაისის მერმა შოთა მურლულიამ და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ.

2008-2011 წლებში ახალი ზელანდია 20-წლამდელთა ჩემპიონატის (რომელიც აქამდე ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის სახელით იყო ცნობილი) პირველობას არავის უთმობდა, სანამ 2012 წელს სამხრეთ აფრიკამ ეს ტიტული თვითონ არ გადაიბარა. 2013-2014 წლებში კი ჩემპიონის თასი ინგლისმაც ასწია, რომელიც ჰეთ-თრიქის შესრულების იმედით ივნისში იტალიისკენ მიემართება.

მსოფლიო რაგბის საბჭოს თავმჯდომარე ბერნარდ ლაპასე: „მინდა მივულოცო საქართველოს რაგბის კავშირს ამ პრესტიჟული ღონისძიების – 2017 წლის 20-წლამდელთა პლანეტის ჩემპიონატის მასპინძლობა.

მინდა ასევე მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას ამ ტურნირის მასპინძლობისათვის გაწეული ინვესტიციისთვის. 2017 წლის ამ უდიდეს ღონისძიებაში მონაწილეობისას მსოფლიო რაგბის მომავალი ვარსკვლავები ნამდვილად კმაყოფილები დარჩებიან ქვეყნის უნიკალური სტუმართმოყვარეობითა და თბილი დახვედრით, რომელიც მდიდარი კულტურული და სპორტული მემკვიდრეობით გამოირჩევა.

2017 წლის ფორუმის მასპინძლად საქართველოს დასახელება მსოფლიო რაგბის საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილება იყო, რომელიც ამ კვირაში დუბლინის შეხვედრის დროს შედგა. ტურნირის ზუსტი თარიღები და სათამაშო მოედნები უახლოეს მომავალში გამოცხადდება.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე: „მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა 2017 წლის ჩემპიონატის მასპინძლობა უდიდესი პატივია არა მხოლოდ ქართული რაგბის, არამედ მთლიანად ქვეყნისთვის. ეს ტურნირი საუკეთესო გზაა ჩვენს ქვეყანაში რაგბის პოპულარიზაციის ხელშესაწყობად, რისთვისაც ძალიან კმაყოფილები ვართ. ეს იმ დონის აღიარებას ნიშნავს, რასაც ქართულმა რაგბიმ უკვე მიაღწია და საქართველოში რაგბის განვითარებისთვის ჩატარებულ არა ერთ ღონისძიებას უსვამს ხაზს.

გარდა ამისა, 2017 წლის ჩემპიონატი კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს ცნობადობას, მისცემს ძალიან ბევრ ადამიანს იმის საშუალებას, რომ ჩამოვიდნენ საქართველოში, გაიცნონ ჩვენი ქვეყნის მდიდარი კულტურა, უნიკალური სამზარეულო, ღვინო, რომელსაც ჩვენ აგერ უკვე 8 000 წელია უძველესი მეთოდოლოგიით ვაყენებთ და ისიამოვნონ განთქმული ქართული სტუმართმოყვარეობით.

ამ გადაწყვეტილებაზე მსოფლიო რაგბის საბჭოს საშეჯიბრო და მაღალი მიღწევების კომიტეტის თავმჯდომარემ **მარკ იგანმაც** გააკეთა კომენტარი: 2017 წლის 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობით საქართველოს დაჯილდოება მართლაც მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყანაში რაგბის განვითარების მხრივ.

ბოლო 7 წლის განმავლობაში სარაგბო ინფრასტრუქტურის სტანდარტების კუთხით საქართველოში ნამდვილად შესამჩნევი ტრანსფორმაციებია, რომელიც ფონდ „ქართუს“ მრავალმილიონიანი ინვესტირების პროგრამისა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით განხორციელდა.

საქართველოს ნამდვილად შეუძლია დაიკვეხნოს მსოფლიო კლასის საწვრთნელი და სათამაშო ბაზებით, რომელიც ალბათ პირველი დონის რაგბის კავშირების უმრავლესობას შურსაც აღუძრავს.

მსოფლიო რაგბის საბჭო ყოველწლიურად 2 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე ინვესტიციას ანხორციელებს როგორც 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, ისე 20-წლამდელთა ალაფისთვის.

2012-15 წლების ციკლში მსოფლიო რაგბის კავშირი საქართველოში დაახლოებით 3.2 მილიონი გირვანქა სტერლინგის პირდაპირ ინვესტიციას ანხორციელებს რაგბის კავშირის განვითარების, მაღალი მიღწევებისა და სანაკრებო პროგრამების, ასევე თბილისის თასის ყოველწლიური მასპინძლობის მხარდასაჭერად.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

ჯაბა კანკავა ევროპალიგის ფინალში ითამაშებს!

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავა უეფას ევროპალიგის ფინალში ითამაშებს. ჯაბას კლუბმა დნეპრ-პეტროვსკის „დნიპრომ“ განმეორებით ნახევარფინალურ შეხვედრაში იტალიის „ნაპოლის“ 1:0 სძლია და ორი მატჩის ჯამში 2:1 გაიმარჯვა.

ჯაბა კანკავა პირველი ქართველი მოთამაშეა, რომლის გუნდიც ამ ტურნირის ფინალში გავიდა. ჩემპიონთა თასის და აწ უკვე გაუქმებული თასების მფლობელთა თასისგან განსხვავებით, ქართველ ფეხბურთელებს უეფას რანგით მეორე საკლუბო ჯილდო არასდროს მოუგიათ.

ევროპალიგის ამ გათამაშებაში ჯაბამ 11 შეხვედრა ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა. ეს ბურთი ჩვენი ნაკრების კაპიტანმა 1/16 ფინალში საბერძნეთის „ოლიმპიაკოსთან“ შინ 2:0 მოგებულ შეხვედრაში შეაგდო.

უეფას ევროპალიგის ფინალს პოლონეთის დედაქალაქი ვარშავა 27 მაისს უმასპინძლებს. უკრაინული კლუბის მეტოქე თასის ამჟამინდელი მფლობელი „სევილიაა“, რომელმაც ნახევარფინალში ორი მატჩის ჯამში 5:0 სძლია ფლორენციის „ფიორენტინას“ (3:0, 2:0).

27 მაისს „დნიპრო“ პირველად ეცდება პრესტიჟული საერთაშორისო საკლუბო თასის დაუფლებას, ესპანელებისთვის კი ეს მეოთხე მცდელობა იქნება. „სევილიამ“ ეს ჯილდო 2006, 2007 და 2014 წლებში უკვე მოიგო.

გიორგი შოთაძე

◎ ქალთა ჩემპიონთა ლიგა

გერმანელთა ტრიუმფი

როგორც მოგეხსენებათ, 6 ივნისს ბერლინი „ბარსელონასა“ და „იუვენტესის“ საჩემპიონთალიგო ფინალს უმასპინძლებს.

მომავალი სანახაობის გენერალურ რეპეტიციად შეგვიძლია მივიჩნიოთ გერმანიის დედაქალაქშივე გამართული ქალთა ანალოგიური ტურნირის გადამწყვეტი მატჩი „ფრანკფურტსა“ და „პარი სენ-ჟერმენს“ შორის, რომელიც დამატებით დროში ალასკერის ზუსტი დარტყმით გატანილი ბურთით ფრანკფურტელებმა მოიგეს 2:1 და მეოთხედ მოიპოვეს პრესტიჟული ჯილდო. მათმა ბომბარდირმა შაშიჩმა 14 გოლი გაიტანა და შედეგიანობის რეკორდი გაიმეორა.

ბადრი იაშვილი

◎ ინტერნეტიდან

კიელინები ფეხბურთით ცხოვრობენ

ტურინის „იუვენტუსის“ მცველის ჯორჯო კიელინის მეუღლე კაროლინა ბონისტალი იმდენადაა ჩართული ქმრის საფეხბურთო ამბებში, რომ ყველა საქმეს „ზებრების“ თამაშებისა და ვარჯიშების ცქერა უჯობს და ეს ამბავი კიელინის სიამაყის, სიხარულისა და ცხვირის აწევის მიზეზადაა ქცეული.

თუკი ტურინული კლუბის ბევრ ქომაგს ამ სეზონის დასაწყისში ბოლომდე ალბათ მაინც არ სჯეროდა, რომ „იუვენტუსი“ მცირე სასწაულს მოახდენდა და ჩემპიონთა ლიგის ფინალს უწევდა, კაროლინა ამაში ღრმად იყო დარწმუნებული და ჯერ კიდევ შარშანდელ ინტერვიუებში იძახდა, აგერ ნახეთ „იუვენტუსი“ რა ამბებს დაატრიალებსო.

კაროლინა ბონისტალი და ჯორჯო კიელინი სულ რაღაც 4 წელია, რაც ცოლ-ქმრის სტატუსით ცხოვრობენ, თუმცა მანამდე სატრფოების იმიჯითაც მშვენივრად ეხეთქებოდნენ ერთ-ურთსა და სამყაროს წინააღმდეგობებს. ახლა კი ის დროა, როდესაც ბედნიერება მათ გულებში ფოსტლებით დაფაჩუნობს.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ჰოკეი

კვანძი მალე გაიხსნება

ჩეხეთში დასასრულს უახლოვდება ჰოკეისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც დღეს ნახევარფინალში ითამაშებენ რუსეთი-აშშ და მასპინძლები – აქამდე უდანაკარგოდ მოასპარეზე კანადა. ეს წყვილები ჯგუფურ ეტაპზეც შეხვდნენ ერთმანეთს და ორივე ბრძოლა ოკეანისგაღმელებმა მოიგეს – შესაბამისად 4:2 და 6:3.



მეოთხედფინალში დრამატულად განვითარდა მოვლენები ოლეგ ზნაროკის შეგირდთა და შვედთა დუელში, რომელშიც თავიდან ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები დაწინაურდნენ – 3:0, შემდეგ „ტრე კრუნურმა“ ანგარიში გაათანაბრა – 3:3, თუმცა ევგენი მალკინის „დუბლით“ საბოლოოდ მაინც რუსებმა იძალეს – 5:3.

დავძენთ, რომ პროფესიული სპორტის კიდევ ერთი ვარსკვლავის მიხეილ ოვეჩკინის სახით მათ, ალბათ, სოლიდური ძალა შეემატებათ, რომლის კლუბიც ჰოკეის ეროვნული ლიგის (ნჰლ) გათამაშებას გამოეთიშა.

გეჟან დოლიძე

◎ სუპერლიგა

განსხვავებული სცენარით

როგორც ვივარაუდეთ, გუნდის კაპიტნის მიხეილ ჭოჭუას მიერ საკალათბურთო სუპერლიგის პირველ ნახევარფინალურ პლეი-ოფში მიღებული ტრავმა აუნაზღაურებელი დანაკლისია „რუსთავისთვის“.

მართალია, ქვემოქართლელთა ამერიკელმა ლეგიონერმა ოგლსბიმ ამჯერადაც იყოჩაღა (22 ქულა), მაგრამ მხოლოდ მისი ძალისხმევა თბილისის „დინამოს“ მეორედ დასამარცხებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. გამყრელიძემ, მეტრეველმა, შარაბიძემ და კომპანიამ 73:65 იმარჯვეს და სერიაში ანგარიში გაათანაბრეს – 1:1.

შსს აკადემია – „ბათუმი“ 95:83 (2:0).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ კალათბურთი

„კლივლენდი“ კონფერენციის ფინალშია

გუშინ გამთენიისას ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის პლეი ოფის 2 მატჩი გაიმართა.

„ჩიკაგო“ საკუთარ კედლებში „კლივლენდ კავალიერზს“ შეხვდა. მატჩის მეორე პერიოდში „კავალიერზის“ ერთ-ერთმა ლიდერმა კაირი ირვინგმა ტრავმა მიიღო და პარკეტის დატოვება მოუხდა. მიუხედავად ამისა, „კლივლენდმა“ „ჩიკაგო“ 94:73 გაანადგურა და სერიაში ანგარიში 4:2 გახდა დევიდ ბლატის გუნდის სასარგებლოდ. ლებრონ ჯეიმსი და მისი თანაგუნდელები აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში გავიდნენ, სადაც „ატლანტა“ – „ვაშინგტონის“ წყვილში გამარჯვებულს შეხვდებიან.

„კლიპერსი“ ლოს ანჯელესში „ჰიუსტონს“ დაუპირისპირდა. მესამე პერიოდის დასრულების შემდეგ „კლიპერსი“ მეტოქეს 13 ქულით ამარცხებდა, მაგრამ ბოლო მეოთხედში „ჰიუსტონის“ ორი კალათბურთელის ჯოშ სმიტის და კორი ბრიუვერის საუცხოო თამაშმა „როკეტსს“ პერიოდი 40:15 მოაგებინა, საბოლოოდ კი სტუმრებმა მეტოქე 119:107 დააჩოქეს. შეგახსენებთ, რომ კალიფორნიული კლუბი სერიას 3:1 იგებდა, თუმცა ჰარდენმა და მისმა თანაგუნდელებმა ზედიზედ ორი თამაში მოიგეს და ანგარიში გაათანაბრეს – 3:3. სერიის გადამწყვეტი მეშვიდე თამაში ტეხასში 18 მაისს გაიმართება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ნატურალური თმა – ბიზნესი

როცა ორივე მხარე მოგებულია

თმას წონით იბარებენ, ფასი კი 40-დან 400 ლარამდე მერყეობს

დანამდვილებით იმის თქმა, რამდენად წარმატებულია საქართველოში თმის ბიზნესი, გაჭირდება. თუმცა, თბილისში მრავლადაა სილამაზის სალონები, რომლებიც თმას შეისყიდიან. ადამიანის თმას ძირითადად თმის დაგრძელებისთვის და პარიკისთვის, ასევე თმის გასახშირებლად იყენებენ. ქართული მასალა ხშირად უმაღლესი ხარისხისაა, ამიტომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშიც გააქვთ – კანადაში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, რუსეთში.

რა ღირს ქართული თმა და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეთ, რომ თქვენი თმა სარფიანად გაყიდოთ? როგორც bpn.ge-მ გაარკვია, სალონები ფასს თმის ხარისხისა და სიგრძის მიხედვით განსაზღვრავენ. მოჭრილ თმას იყენებენ თმის დასაგრძელებლად, გასახშირებლად და ლამაზი მოცულობის მისაცემად, თმის მელირებისთვის, ღია ფერის ან კონტრასტული ფერის მელირებისთვის დამატებითი თმების ჩამაგრებით. დამწვარი თმის გამოსაცვლელად გამოიყენება ჯანმრთელი თმის ღერები. თუმცა, 40 სანტიმეტრზე ნაკლები სიგრძის თმას სალონები არ იბარებენ. ასევე, თმა უნდა იყოს ბუნებრივი, არ უნდა იყოს ჭაღარა, შეღებილი, დამწვარი. ყურადღება ენიჭება თმის სისქესაც, სიხშირესაც. თხელი თმა გაცილებით იაფი ღირს.

რაც შეეხება თმის ფასს, სალონებს სხვადასხვა ტარიფები აქვთ დაწესებული. თმას წონით იბარებენ, ფასი კი 40-დან 400 ლარამდე მერყეობს. ზოგჯერ კილოგრამი თმა 2 000 ლარიც ღირს. ვინც ამ სფეროში კარგადაა ჩახედული, თმის გაყიდვამდე სხვადასხვა სალონებს სტუმრობს, რათა თმა სარფიანად გაყიდოს. ასე მოიქცა 25 წლის თამარიც, ახალი ვარცხნილობითაც კმაყოფილი დარჩა, თან მოგებაც ნახა.

როგორც სილამაზის სალონების წარმომადგენლები bpn.ge-სთან საუბარში ამბობენ, რაც უფრო გრძელია თმა, მით მეტი ფასი აქვს. თუმცა აქაც არის გამონაკლისი: იმ შემთხვევაში თუ თმა არის ძალიან გამომშრალი, მტვრევადი, ბზინვარება აქვს დაკარგული, ასეთ შემთხვევაში თმის სიგრძეს დიდი მნიშვნელობა აღარ ენიჭება და სარფიანად გაყიდვის იმედი არ უნდა გქონდეთ. თმის ხარისხის განსაზღვრა შეუძლია შემფასებელს. რაც მეტად ხარისხიანია თმა, მით მეტი ღირს. თმის სტრუქტურას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. ხარისხიანი თმა, სწორიც და ხვეულიც, ერთნაირად ფასობს. ღია ფერის თმა შედარებით ძვირად ფასობს, ვიდრე მუქი ფერი. რადგანაც ღია ფერის თმა ადვილად ემორჩილება გაღიავებას,შეღებვის პროცედურებს. ზოგიერთი სალონი კი იმასაც აქცევს ყურადღებას, თმა ევროპულია თუ აზიური. ევროპული თმა ღია ფერის ნაზი სტრუქტურისაა, ხშირად სწორი თმა. ხოლო აზიური სქელღერა თმაა, ხშირ შემთხვევაში მუქი და უხეში. ამიტომ, ევროპული ტიპის თმა უფრო ღირებულია. თუ თმას თხელი ბოლოები აქვს, ეს ნაწილი თმის სიგრძეში ნაკლებად ითვლება.

სალომე გოგოხია

სანთელი

გია კვირტია

გემშვიდობებით, ვერცხლის სიმებშეპარულო, მაგრამ ჩვენს სკოლაში დიდ ბავშვად დარჩენილო ლამაზო შვილო!

გვიჭირს, ძალიან გვიჭირს შენთან განშორება... შენ ხომ ჩვენს ხელში გაზრდილი და დავაჟკაცებული ხარ, ასე ბუნებრივად და უშურველად რომ გვინაწილებდი გულის სითბოსა და ღიმილს...

ალბათ, არის რაღაც საკრალური საიდუმლო, ამ ქვეყნიდან შენი სპეტაკი სულის ზეცად აღსვლა ანდრია პირველწოდებულის დღეს რომ დაემთხვა...

ყველა კეთილი თვისებითა და საუკეთესო ქართული ტრადიციებით აღზრდილო, სულიერად და გარეგნულად შემკულო ლამაზო ვაჟკაცო! ყოველთვის გაგიხსენებთ, მოგვენატრები და ვილოცებთ შენთვის.

ჩვენმა დანთებულმა წმინდა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

გვჯერა, შენი ლამაზი სული იქ დაივანებს, სადაც მართალნი განისვენებენ...

| ექსპერიმენტული საჯარო სკოლის პედაგოგები

და-ძმები ირაკლი, იზა, ზოია, ანზორ ჯაჭვაძეები, დისწული ლაშა-გიორგი კრავეიშვილი, რძლები ნანა ქურცაძე, ხათუნა არზუმელაშვილი, ძმისწულები ნინო, ნატო, ეკა, ზაქრო, მარი ჯაჭვაძეები, უახლოესი ნათესავები სულა (გია) იორდანიშვილი, ლელა, გოჩა შათირიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უნიჭიერესი პიროვნება, უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტის კურსდამთავრებული და კეთილშობილი პიროვნება

რენო ზაქარიას ასული ჯაჭვაძე

გამოსვენება 19 V, 14 სთ. მიცკევიჩის ქუჩა №25.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ კოლეგასა და მეგობარს იზა ჯაჭვაძეს დის

რენო ჯაჭვაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ახლობლებს.

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება

გია კვირტიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

რევაზ ფაჩულია ოჯახით, შვილებით დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა უახლოესი მეგობარი და ძმადნაფიცი, ცნობილი ჟურნალისტი, კულტურის დამსახურებული მუშაკი

მოკოდი ანტიფოს ძე აბშილავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო

25 წლის ქართველი, რომელსაც ბერძენი არქიმანდრიტის მკვლელობაში ეედებოდა ბრალი, საბერძნეთის სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო. ამის შესახებ ბერძნული მედია იტყობინება.

არქიმანდრიტის მკვლელობის ბრალდებით, საქართველოს მოქალაქე გასული წლის თებერვალში დააკავეს. თავდაპირველი ვერსიით, ახალგაზრდა ქართველი, 18 წლის ბერძენ თანამზრახველთან ერთად, კალამათას რაიონში თავს დაესხა 54 წლის არქიმანდრიტს. სასულიერო პირს ჭრილობები ბლაგვი საგნით თავის არეში ჰქონდა მიყენებული.

მომხდარის შესახებ საბერძნეთის სასამართლო ერთი წლის განმავლობაში მსჯელობდა. არსებული სამხილებით ქართველი უდანაშაულოდ ცნეს.

◎ კრიმინალი

საშურში მომხდარი მკვლელობა გახსნილია

შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს და ხაშურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული, ამჟამად პიროობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი რეზიკო გ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

ბრალდებულმა ხაშურის რაიონის სოფელ ცხრამუხაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მუცლის არეში დანით დაჭრა 1990 წელს დაბადებული ხვიჩა გ, ხოლო მრავლობითი ჭრილობები მიაყენა ხვიჩა გ-ს დედას – დარეჯან გ-ს, რომელიც შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. ხვიჩა გ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

რეზიკო გ. მომხდარიდან ერთ საათში დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

აფხაზეთიდან გადმოსული კანონიერი ქურდი დააკავეს

სამართალდამცველებმა სოფელ რუხში კანონიერი ქურდობისა და ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს 1972 წელს დაბადებული, წარსულში ყაჩაღობისა და სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი თემურ გ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ თემურ გ. საქართველოში აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიდან შემოვიდა. დაკავებულს პირადი ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება აღმოაჩნდა. ნარკოლოგიური შემოწმებით მას ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. თემურ გ. ე.წ.კანონიერ ქურდობას აღიარებს.

◎ ჩვენი კარაბადინი

10 ბუნებრივი ანტიბიოტიკი

ანტიბიოტიკები მხოლოდ აფთიაქის დახლებზე არ აწყვია, ამ საჭირო ნივთიერებებით ბუნებაც გვამარაგებს. წარმოგიდგენთ 10 ბუნებრივ ანტიბიოტიკს, რომლებიც წარმატებით შეცვლიან სააფთიაქო ნაწარმს.

ანტიბიოტიკების ხშირი გამოყენება სასარგებლო ბაქტერიებს კლავს და თქვენს ბუნებრივ იმუნიტეტს ანადგურებს. ამიტომ დროა ნატურალურ საშუალებებზე გადაერთოთ, რომლებიც კიდეც გარგებთ და საშიშ გვერდით მოვლენებსაც არ გამოიწვევს.

1. ხახვი – აქვს როგორც ანტიბაქტერიული, ასევე ანტისეპტიკური ეფექტი. სასარგებლოა მისი უმად ჭამა, თუმცა თუ სამზარეულოში რამდენიმე ნაჭერ ხახვს დაალაგებთ, ბაქტერიებისგან იქნებით დაცული.

2. კომბოსტო – ძლიერი ანტიბაქტერიული თვისებებით გამოირჩევა, ეს თვისებები კიდევ უფრო ძლიერდება, თუ დაამჟავებთ პროდუქტს.

3. თაფლი – მისი სამკურნალო თვისებები ოდითგან ცნობილია, მაგრამ მეცნიერებმა ცოტა ხნის წინათ მასში უნიკალური ცილა დეფენსინი აღმოაჩინეს, რომელიც ამ პროდუქტს ნამდვილ ბუნებრივ ანტიბიოტიკად აქცევს. კარგად იცავს იმუნიტეტს.

4. დამჟავებული ბოსტნეული – ამარაგებს ორგანიზმს უამრავი სასარგებლო ბაქტერიით.

5. დარიჩინი – ზოგჯერ მას ბაქტერიების სასიკვდილო ბუნებრივ ანტიბიოტიკს უწოდებენ, რომელიც მედიცინაში საუკუნეების განმავლობაში გამოიყენება. ნამდვილ დარიჩინს შეუძლია ეშირიხია კოლის ბაქტერია (საკმაოდ ვერაგი ბაქტერიაა, რომელიც უამრავ მძიმე დაავადებას იწვევს) გაანადგუროს. დარიჩინი არა მარტო ანტიბაქტერიული თვისებების მატარებელია, არამედ შესანიშნავი ანტიოქსიდანტია, რომელიც ბევრი დაავადების მიმართ ორგანიზმს გამძლეობას ანიჭებს.

6. სალბი – ზედა სასუნთქი გზების ინფექციების წინააღმდეგ საუკეთესო საშუალებაა.

7. ქონდარი – მისი ფოთლებიც და ზეთიც ეფექტური ბუნებრივი ანტიბიოტიკია. აქვს ანტიმიკოზური (სოკოს საწინააღმდეგო) თვისებები.

8. ნიორი – ბუნებრივი ძლიერი იმუნომოდულატორი, მისი ოთახში დაწყობა და სუნთქვაც კი კარგ შედეგს მოგიტანთ. მას თქვენს ორგანიზმში მოხვედრილი ვირუსებისა და მიკრობების, დაავადების გამომწვევი ყველა ბაქტერიის განადგურება შეუძლია. ამასთან, ტოქსიკურ მოქმედებასაც არ ახდენს.

9. ჟოლო – ძლიერი ანტიბაქტერიული, ანთების საწინააღმდეგო და ანტიოქსიდანტური თვისებები აქვს.

10. მოცვი – ბევრჯერ სახელდება ერთ-ერთ უძლიერეს პროდუქტად, რომელიც ადამიანის ორგანიზმზე დადებითად მოქმედებს.

მასალა მომზადებულია mshoblebi.ge-ს მიხედვით

◎ სულიერება

იესო ქრისტე კურნავს ბრმას

17 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი წმიდა სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს აღდგომიდან მე-6 ბრმის კვირიაკეს.

ქვეყნიური ცხოვრების ბოლო დღეებში, ვიდრე უფალი იესო ქრისტე კაცთა მოდგმის გამოსახსნელად ჯვარზე ტანჯვას მიიღებდა, პასექამდე ცოტა ხნით ადრე, იმყოფებოდა პალესტინის აღმოსავლეთ პროვინციაში.

თავის მოწაფეებთან ერთად იერუსალიმისაკენ მიმავალმა უფალმა თქვა: **„აჰა, ესერა აღვალთ იერუსალიმად, და აღესრულნენ ყოველნი წერილნი წინასწარმეტყველთაგანი, ძესა ზედა კაცისასა, რამეთუ მიეცეს ხელთა წარმართთასა და ეკიცხავდნენ მას და იგინოს და ჰნერწყვდნენ და ტანჯოს და მოკლან იგი და მესამესა დღესა აღდგეს“...**

„...კარიბჭის წინ, გზაზე, ბრმა კაცი იჯდა და მოწყალებას სთხოვდა მომლოცველთ“, — განმარტავს ღვთისმეტყველი.

ბრმის განკურნების ამბავს ასე განმარტავს ლუკა მახარებელი, რომ სხეულებრივად ბრმა ამ ადამიანში შინაგანი მზადყოფნა იყო სულიერი თვალის ახელისთვის. მისი ღაღადი უფალ იესო ქრისტესადმი — დავითის ძისადმი, შეწყალების შესახებ, არის ისეთი სულიერი მდგომარეობა, რომელსაც უფლის რწმენა დაუწყია. აქ უკვე ჩანს რწმენა ღმერთის სიბრძნისა და ძლიერებისა, რომელმაც მთელი კაცობრიობა უნდა გამოიხსნას.

ბრმა ვერ ხედავდა უფლის ღვთაებრივ სახეს, იგი არ ყოფილა მის მიერ აღსრულებული, არც ერთი სასწაულის მომსწრე, თუკი რაიმე უფლის შესახებ იცოდა, სხვათა გადმოცემით.

ღვთისმეტყველები უფრო სულიერი მნიშვნელობით განიხილავენ ამ ეპიზოდს.

გიული ლიპარტია

◎ მილოცვა

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „**მამულიშვილთა გახსენება**“ მიესალმება და გულთბილად ულოცავს დაბადების საიუბილეო **80 წელს** საქართველოს სახელოვან მამულიშვილს, თავისი ქვეყნისა და ერის გულანთებულ პატრიოტს, სახელგანთქმულ ლოტბარს, ქართული ეროვნული ფოლკლორული სიმღერების მესაძირკვლეს, საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლ **„ერისიონის“** სამხატვრო ხელმძღვანელს, საქართველოს სახალხო არტისტს, **შოთა რუსთაველის** პრემიის ლაურეატს, კეთილშობილ და კაცთმოყვარე ადამიანს ბატონ **ჯემალ ჭკუასელს**.

ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს თავის სახელოვან ანსამბლთან ერთად ქართველი ერისა და სამშობლოს კეთილდღეობისთვის.

ღრმა პატივისცემით
ბონდო კობაძე,
ფონდის პრეზიდენტი, დავით აღმაშენებლის, ექვთიმე თაყაიშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი, მარტყოფისა და იყალთოს საპატიო მოქალაქე.

სკანვორდი



რეკლამა
293-37-87;
568 82-09-84.
მაჩაბლის ქ. №7.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **რატომ** გამოდიხარ ბალკონზე მუდამ, როგორც კი შენი ცოლი სიმღერას იწყებს?

— იმიტომ, რომ არავინ იფიქროს ჩემზე, ცოლს სცემსო.

* * *

— **თუ** შეიძლება დამამშვიდებელი წამალი მომეცით.

— აბებში თუ წვეთებში?

— ნუ მაღიზიანებ ნაგავო!

* * *

— **რატომ** ხართ გაუთხოვარი?

— იცით რა, მე მინდა, რომ მას აინტერესებდეს არა ჩემი სხეული, ან ფული, არამედ — სული!

— ეშმაკს ელოდებით?

* * *

— **მიხო**, ჩაი გინდა? — ეკითხება მარო დივანზე წამოწოლილ ქმარს.

— კი.

— მაშინ ადექი და დაისხი.

— არ მინდა.

— მაშ იწექი და ნუ იტყუები!

* * *

არ კმარა მხოლოდ ცოლ-ქმრობა. საჭიროა კიდევ მეგობრობა და საყვარლობა, რათა მერე ისინი მარცხნივ არ ეძებოთ.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24